# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 25 თებერვალი, 2009 წელი.

№ 35 (6136)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## გამომცემლობა „სამშობლოს“ დაბრუნებით, ხელისუფალნო, იქნებ გამოისყიდოთ მიუტევებელი ცოდვა!



შენობა პრეზიდენტის კეთილინებით გადაეცეს მედიაჰოლდინგს, რომელშიც გაერთიანებულია შენობაში 2007 წლის მონაცემებით განთავსებული ყველა რედაქცია და საინფორმაციო საშუალება! 2

მამუკა არეშიძე:



## 2 რუსეთში ფიქრობენ, რომ აგვისტოში დამცირდნენ და ტანკებით თბილისში უნდა შემოსულიყვნენ

## შეუერთდება ბურჯანაძე ახალ ალიანსს?

5

## „ქრისტიან-დემოკრატები“ ჯონდის იდეებს იპარავენ?

## თექოთა სოდომური როკვით გვინდა გამარჯვება?! 4

## საქართველოს ხელისუფლებას სომხები პრობლემურ სოციუმად მიაჩნია 8

## როგორ უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის დახმარება საქართველოში? 6

## მედვედევ-პუტინის „ტანდემოკრატია“ დროის გამოცდას ვერ გაუძლებს 3



## რა რეკომენდაციები მისცა ომბუდსმენმა პრემიერს 2

ლეო ბოკერია:

## გამოიძინეთ, ჭამეთ და დალიეთ! 9



ბრიფინგი

# მთავარია საქმისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომა,

## ანუ რა რეკომენდაციები მისცა ომბუდსმენმა პრემიერს



**სახალხო დამცველის ოფისში გამართულ ბრიფინგზე სოზარ სუბარმა პრემიერ-მინისტრს რეკომენდაციით მიმართა. ომბუდსმენმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, სოფელ ნიქოზსა და ზემო ხეითში მოსახლეობის გაუსაძლის პირობებზე ისაუბრა და მთავრობისგან მათი დაცვა მოითხოვა.**

ორი კვირის წინათ ნიქოზის თემის მცხოვრებლებმა მიმართეს შიდა ქართლის გუბერნატორსა და სახალხო დამცველის რეგიონულ ოფისს. განმცხადებლები განმარტავდნენ, რომ მათ სოფელს, მათ კერძო ქონებას ზიანი მიადგა, რის გამოც ვერ იხდიან ელექტროენერგიის გადასახადს და ელექტროკომპანიასთან ურთიერთობის დარეგულირებას ითხოვდნენ.

17 თებერვალს დენის მიწოდება შეუწყდა ყოფილი ბუფერული ზონის სოფლებსაც, სოფელ ტყვიავის საავადმყოფოს და სასწრაფო დახმარების სამსახურს. თანხა – 812 ათას 200 ლარი – სახელმწიფომ მეორე დღესვე დაფარა. თუმცა იქვე დასძინა, რომ მოსახლეობა საჭიროზე ბევრად მეტ ელექტროენერგიას ხარჯავდა, ამიტომ ზემო ხეითისა და ნიქოზის მცხოვრებლებს იანვარში მოხმარებული ენერგიის საფასური არ გადაუხადა.

სოზარ სუბარი აღშფოთებულია ხელისუფლების არგუმენტებით და ამბობს, რომ სახელმწიფო ვალდებულია, დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები და ინტერესები, ამიტომ პრემიერს გამოსავალს სთავაზობს: გამოიანგარიშონ მინიმალური სტანდარტი და ის გადაუხადონ მოსახლეობას, ხოლო დანარჩენს თვითონ მომხმარებლები გადაიხდიან.

სახალხო დამცველმა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების მძიმე სოციალურ პრობლემებზეც ისაუბრა. ელექტროენერგიის შეწყვეტისას წყალიც ავტომატურად ითიშება, რაც კიდევ უფრო ართულებს იქ ცხოვრებას. გაუარესებულია კრიმინოგენული ვითარება, სოფელში თითქმის ყოველდღე ხდება მარადიორობა, შეიარაღებული ფორმირებები მსხვილფეხა პირუტყვს იტაცებენ.

ომს გადარჩენილი მსხვილფეხა პირუტყვი კი არსებობის ერთადერთი საშუალებაა იქ მცხოვრები ადამიანებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახურები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომელიც მთლიანად ოკუპირებულია რუსული შეიარაღებული ძალების მიერ და ე. წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აკონტროლებს.

ამას თან ერთვის ბანკიდან აღებული კრედიტები, რომელთა გადახდის თავი მათ არა აქვთ. ამიტომ ერთ-ერთი რეკომენდაციაც, რომელიც ომბუდსმენმა გაუგზავნა პრემიერს, ამ ადამიანების პირობების შემსუბუქებაა. ყოფილმა პრემიერმა ვალდებულება აიღო, რომ მოვალეებს შეღავათებს გაუწევდნენ. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ ეს თანხები ბანკებმა კი არ უნდა გადაიხადონ, სახელმწიფომ უნდა დაფაროს. მით უმეტეს, რომ არც ისე დიდ თანხაზეა ლაპარაკი. საკითხი ადვილად მოგვარდება, თუ სახელმწიფოებრივი მიდგომა იქნება, – ამბობს სუბარი.

**თეა მოსია**

გულისთქმა

# უწმინდესი თუ გვიშველის



*სულ ღრუბელი, სულ წვიმადღე,*
*დღეს ვაღამებთ უღირსად,*
*ვერც ვერასდროს უწილადე*
*შენს ძმას შენი ლუკმისა.*

*დაქცეულო, არა მთელო,*
*შეგრჩით თითო-ოროლა,*
*აღსდეგ, აღსდეგ საქართველო, –*
*აღსდეგ არა, ტოროლა!*

*დაჰქრის ქარი, ქარი ცოდვის,*
*არ ჩანს არც დღის ნათელი,*
*არც არასდროს არ იცოდი*
*ფასი ნაღდი ქართველის.*

*თუ სიცოცხლე გაგვიძვირეს,*
*აწმყოს თუ ჰგავს სიბილწე,*
*მოდი ერთხელ დაიძინე,*
*ჰოდა, ნუ გაიღვიძებ.*

*მივალთ გზებით სისხლიანით,*
*გზებით ჩვენგან შობილით,*
*ჩვენწინ, ახლოს, ზის მღიმარი*
*მტერი, ჩვენივ ძმობილი.*

*ცოდვის შვილი მეცა ვარ და*
*შენცა ხარ და ისიცა,*
*ბევრი, ბევრი შემცდარა და*
*შეჰფარვია სხვის მიწას.*

*ზოგი არსად არ წასულა,*
*აქ დარჩა და ტბაშია,*
*ზოგმა ჟამი დაასრულა*
*და იმ სოფლად არ შია.*

*დაიკარგა სამართალი, –*
*წინაპართა სამკვიდრო,*
*ეს ქვეყანა, გადამთვრალი,*
*სანამ უნდა ადიდოთ.*

*შეძახილი სულ ცით გვესმის, –*
*ასი მთის და ასი ტყის,*
*მთავარია, უწმინდესი,*
*უწმინდესი რას იტყვის.*

*ის ჩვენს სულში ზის ქართველად –*
*ვითარ მამა-პაპანი,*
*ლოცვა მისი – სიმართლეა,*
*სიტყვა მისი – ლამპარი.*

*თვალი სტირის, გული კვნესის,*
*ქართველს თურმე არ ესმის,*
*გვესმას, ჩვენი უწმინდესის,*
*ჩვენი უნეტარესის.*

**ჯანსულ ჩარკვიანი**
22 თებერვალი

ერისა და ბერის გასაგონად!

# გამომცემლობა „სამშობლოს" დაბრუნებით, ხელისუფალნო, იქნებ გამოისყიდოთ მიუტევებელი ცოდვა!



## საქართველოს პარლამენტის ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ გია თორთლაძეს

**ბატონო გია!**

გვინდა, თქვენი ყურადღება მივაპყროთ იმ ვანდალურ აქტს, რაც 2007 წლის 10 აგვისტოს განხორციელდა გამომცემლობა „სამშობლოს" შენობაში განთავსებული 100-მდე ჟურნალ-გაზეთის რედაქციისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების მიმართ.

შეგახსენებთ, რომ 10 აგვისტოს, გამთენიისას, პოლიციისა და თბილისის მერიის ზედამხედველობის თანამშრომლებმა სასამართლოს სანქციისა და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყეს „სამშობლოს" შენობაში განთავსებული რედაქციების კუთვნილი ქონების, სარედაქციო არქივისა და აპარატურის გარეთ გამოყრა და სამუშაო ოთახების დაცლა. ამ ძალადობრივი და უსამართლო აქციის შედეგად, ღია ცისქვეშ დარჩა რამდენიმე ათეული ჟურნალ-გაზეთის რედაქცია, რომელთაგან ძალიან ბევრი გამოცემა შემდგომში შეწყდა. ამ ვანდალური აქტის დეტალები მთელმა საქართველომ იხილა და თქვენც საქმის კურსში ბრძანდებით, რადგან ჟურნალისტთა მაშინდელ არაერთ საპროტესტო აქციაში მიგიღიათ მონაწილეობა.

ეს ფაქტი მაშინ მთელი მსოფლიოს ყურადღების არეში მოექცა და იგი სიტყვის თავისუფლებაზე, დამოუკიდებელ მედიაზე ზეწოლად იქნა შეფასებული. იმედია, დაგვეთანხმებით, რომ ევროკავშირის შესაბამისი სამსახურები საქართველოს ხელისუფლებას მედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებენ და პირდაპირ მოითხოვენ მედიის ხელშეუხებლობას.

2007 წლის აგვისტოდან დღემდე ამ ფაქტს საქართველოს ხელისუფლებიდან არანაირი სამართლებრივი შეფასება არ მისცემია. მათ შორის ქვეყნის მეორე და მესამე პირების ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის მხრიდან, რომლებიც ოპოზიციაში გადაბარგდნენ და მხოლოდ ახლა გაახსენდათ მედიაზე ზეწოლის ფაქტები.

განვლილ წელიწადნახევარში ბევრი რამ შეიცვალა, საყოველთაო კრიზისმა უფრო დაამძიმა როგორ ქვეყნის მოსახლეობის, ისე „სამშობლოდან" უსამართლოდ გამოდევნილი რედაქციების მდგომარეობა, რის გამოც გარწმუნებთ, რომ აქ მომუშავე 1000-ზე მეტი ჟურნალისტი უკიდურესად გაღიზიანდა.

შეიქმნა ამ ლოკალური კრიზისის მოგვარებისათვის ჟურნალისტთა საინიციატივო ჯგუფი, რომლებიც პირველ ხანებში კონსტრუქციული ხერხებით ეცდება საკითხის გადაწყვეტას. ჯგუფს გააჩნია ჟურნალისტთა მრავალრიცხოვანი კორპუსის მანდატი დიალოგის საწარმოებლად. ჩვენ გვაქვს ჩვენეული წინადადებები პრობლემის მშვიდობიანად და სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით მოსაგვარებლად.

გთავაზობთ ჩვენს წინადადებებს, რათა ისინი შეჯერების შემდეგ, თქვენ, როგორც ანტიკრიზისული საბჭოს თავმჯდომარემ, წარუდგინოთ საქართველოს პრეზიდენტს.

იმედი გვაქვს, თქვენი აქტიური ჩარევით ეს პრობლემა სამართლიანად მოგვარდება და უყურადღებოდ არ დარჩება, რაც შემდგომში შესაძლოა სხვა პროცესებში გადაიზარდოს.

ჩვენი წინადადებებია:

1. შენობა პრეზიდენტის კეთილი ნებით გადაეცეს მედიაჰოლდინგს, რომელშიც გაერთიანებულია შენობაში 2007 წლის მონაცემებით განთავსებული ყველა რედაქცია და საინფორმაციო საშუალება. გადმოცემის პროცესში მათ შეუერთდება გარეთ არსებული მედიასაშუალებები, რომელთაც ამჟამად საიჯარო პირობებში უწევთ მუშაობა. ეს წინადადება გულისხმობს შენობის სიმბოლურ ფასად დათმობას (ნინო ბურჯანაძისთვის წყნეთში 3 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობის (შენობა-ნაგებობების ჩათვლით) სიმბოლურ ფასად გადაცემის და სხვათა ანალოგიით);

2. შენობა მიეყიდოს მედიაჰოლდინგს მისი საბალანსო ღირებულების მიხედვით;

3. შენობა გადმოგვეცეს ე. წ. იჯარა-გამოსყიდვის წესით.

გვაქვს თქვენი გულისხმიერების და აქტიური დახმარების იმედი.

**მედიაჰოლდინგის საინიციატივო ჯგუფი.**

უსაფრთხოება

# ევროპა და აშშ რუსეთის დესტრუქციული ძალების წესებით თამაშს არ აპირებენ

## რა გადაწყვიტეს ბრიუსელსა და ვენაში?

**საპარლამენტო უმრავლესობის წევრებმა დავით დარჩიაშვილმა და აკაკი მინაშვილმა პარლამენტის საკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია გამართეს.**

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით დარჩიაშვილმა 16-17 თებერვალს ბრიუსელში გამართულ ევროკავშირისა და საქართველოს თანამშრომლობის კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა. მისი თქმით, ევროპარლამენტის განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ აღმოსავლეთის სამეზობლო პოლიტიკას მხარს უჭერს. ამ მხრივ სერიოზულ პროგრესს ჩეხეთის თავმჯდომარეობის დროს ელოდებიან და ეს პროცესი საქართველოს ასოცირებული წევრობით დასრულდება. კომიტეტის თავმჯდომარე ევროკავშირში მიღებული შედეგებით კმაყოფილია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოთხოვნით, ევროპარლამენტში შეიქმნება სპეციალური დელეგაცია, რომელიც მხოლოდ საქართველოსთან ითანამშრომლებს.

აკაკი მინაშვილმა კი ვენაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში გამართულ დებატებზე ისაუბრა. მედვედევის იდეა ე. წ. ევროპაში უსაფრთხოების სტრუქტურების შესახებ მკაცრად გააკრიტიკეს, – თქვა დეპუტატმა, – იქ ყველამ ერთხმად განაცხადა, რომ უსაფრთხოება სწორედ რუსეთის მიზეზით ირღვევა. ეუთოს ასამბლეაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ნებისმიერი უსაფრთხოების სისტემა ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს უნდა ემყარებოდეს. ასევე მკაცრად გააკრიტიკეს ის, რომ რუსეთი ცდილობს, დააკანონოს ექსკლუზიური გავლენის სფეროები, რადგან ევროპა და აშშ აპირებენ დესტრუქციული ძალების წესებით თამაშს, – დასძინა მინაშვილმა.

**ნია ფიფია**

◉ ვარაუდი



*რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ კიდევ ერთხელ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესაძლებლობას არ გამოვრიცხავ, — აცხადებს სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბარში ექსპერტი კავკასიის საკითხებში* ***მამუკა არეშიძე.*** *ეს განცხადება ექსპერტმა სააგენტოსთან საუბარში რუსი სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის განცხადების კომენტირებისას გააკეთა.*

# მამუკა არეშიძე: რუსეთში ფიქრობენ, რომ აგვისტოში დამცირდნენ და ტანკებით თბილისში უნდა შემოსულიყვნენ

**მამუკა არეშიძე:** საბრძოლო მოქმედებების განახლებას ნამდვილად არ გამოვრიცხავ. კარგად ვიცნობ რუსეთის შიდა სამზარეულოს და ვიცი იქაური განწყობა. ვიცი, როგორ არის საქართველოსადმი განწყობილი რუსული გენერალიტეტი და საზოგადოება. რუსეთში დაუკმაყოფილებლობის გრძნობა აქვთ, ისინი ფიქრობენ, რომ აგვისტოში რუსეთი შერცხვა და დამცირდა და ტანკებით აუცილებლად თბილისში უნდა შემოსულიყვნენ.

**— რისთვის შეიძლება დასჭირდეს რუსეთის ფედერაციას კვლავ საქართველოში შემოჭრა?**

— ისეთ ვითარებაში, როგორშიც ახლა რუსეთის ფედერაცია იმყოფება, დაწყებული დაძაბულობის დროს პრობლემები იფარება. რუსეთში კი ამ თვალსაზრისით ძალიან დაძაბული სიტუაციაა. ჯერ ერთი, უკვე აშკარაა დაპირისპირება ხელისუფლებასა და გენერალიტეტს შორის. რუსეთში წამოწყებული სამხედრო რეფორმის შედეგად ხომ 200 ათასი ოფიცრის გათავისუფლება იგეგმება. უკმაყოფლება მით უფრო დიდია, რომ გათავისუფლების საფრთხე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია არა რიგითი ჯარისკაცების, არამედ ოფიცრებისა და დამსახურებული გენერლების თავზე. ამას გარდა, აპრილში დაგეგმილია დიდი შეკრება პროექტ „ნაბუქოსთან“ დაკავშირებით. რა თქმა უნდა, რუსეთის ფედერაციას სულაც არ აძლევს ხელს და არ უხარია ამ პროექტის ამოქმედება.

**— სად უნდა ველოდოთ მოსალოდნელი პროვოკაციის განხორციელებას?**

— საქმე ამჟამად აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში როდია, რუსეთს ამჟამად ძალიან უჭირს და ჩემი ინფორმაციით, სექტემბრისთვის იქ ამ კრიზისმა, შესაძლოა, აუტანელი ხასიათი მიიღოს. არ ულხინს რუსეთის ეკონომიკასაც. მეტსაც გეტყვით, რუსეთში მოქალაქეებმა ბოლო პერიოდის განმავლობაში ბანკებიდან 7 მილიარდი დოლარი გაიტანეს. ეს პრობლემები ილექება, ილექება და არავინ იცის, თუ რით შემოტრიალდება. რაც შეეხება პროვოკაციების განხორციელების ადგილს, სულ არ გამოვრიცხავ, რომ პროვოკაციის ზონად შესაძლოა უკრაინა იქცეს.

**— ანუ შესაძლოა უკრაინაში საქართველოს სცენარი განმეორდეს?**

— მაქვს ინფორმაცია, რომ უკრაინაში, რა თქმა უნდა, ყირიმს ვგულისხმობ, რუსულ პასპორტებთან ერთად იარაღსაც არიგებენ, მართალია ყოველივე ამას ფართო ხასიათი ჯერ არა აქვს, მაგრამ ამგვარი რამ ხდება. ამას გარდა, რუსეთსა და უკრაინას შორის ამჟამად გამწვავებულია მდგომარეობა აზოვის ზღვაში საზღვრის 200-კილომეტრიან მონაკვეთზე. ერთსაც დავსძენ, რუსეთისათვის ამჟამად უკრაინის საკითხი ძალიან აქტუალურია. რით დასრულდება ეს ყველაფერი, ჯერჯერობით ძნელი სათქმელია.

ესაუბრა
**ეკა მომცელიძე**

◉ ინფორმაცია

## ისრაელს შეიძლება „ხვანჭკარისა“ და „ქინძმარაულის“ გამო გადავეკიდოთ

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო ებრაული კომპანიების წინააღმდეგ გამოდის.**

**სამინისტროს მიერ ისრაელში რეგისტრირებული ორი კომპანიის მიერ „ხვანჭკარას“ და „ქინძმარაულის“ უნებართვოდ წარმოება დაფიქსირდა. კომპანიებს სასაქონლო ნიშნები უნებართვოდ ჰქონდათ მინიჭებული. საქმე განსახილველად ისრაელის სასამართლოს გადაეცა. პირველი პროცესი ხუთ იანვარს იყო ჩანიშნული, თუმცა ისრაელში განვითარებული მოვლენების გამო 5 ივნისამდე გადაიდო.**

**ისრაელის მხარე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოლაპარაკებას სთხოვს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ რუსი სპეციალისტის ხედვა

*დღეს რუსეთში აღარავინ მალავს, რომ ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პრობლემურმა საკითხებმა, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობის გარდა, ხელისუფლების „ლიბერალებად“ და „ქორებად“ დაყოფა გამოიწვია და მედვედევ-პუტინის ტანდემი ისე მონოლითური აღარ არის, როგორც ეს თუნდაც გასული წლის სექტემბერში იყო.*

*დამკვირვებელთა შეფასებით, მედვედევ-პუტინის გუნდებს შორის ღია დაპირისპირებაზე საუბარი, შესაძლოა, ჯერ ნაადრევიც იყოს, მაგრამ ეჭვი აღარავის ეპარება, რომ ორივე გუნდს მოვლენათა განვითარების*



*თავისი გეგმა აქვს. ყველაფერი გლობალურ ეკონომიკურ კრიზისს კი ბრალდება, მაგრამ საქმე რომ რუსეთის მომავალზე დაპირისპირებულ გუნდებს შორის ქვეყნის მომავალსა და თანამედროვე მსოფლიოში რუსეთის ადგილის სხვადასხვა ხედვას ეხება, უდავოა. რუსეთში პოლიტიკური პროცესების განვითარების სავარაუდო სცენარებზე* ***„ინტერპრესნიუსი“*** *სტრატეგიულ კვლევათა ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს, აშშ-ს ინსტიტუტის Hudson Institute-ის მეცნიერ-თანამშრომელს, პროფესორ* ***ანდრეი პიონტკოვსკის*** *ესაუბრა.*

# ანდრეი პიონტკოვსკი: მედვედევ-პუტინის „ტანდემოკრატია“ დროის გამოცდას ვერ გაუძლებს

**პუტინის მხარდამჭერები მზად არ არიან აშშ-სთან საბრძოლველად, მაგრამ შესაძლებელია, სხვადასხვა ვარიაციაში ომი დაიწყონ საქართველოსთან ან უკრაინასთან**

**— ბატონო ანდრეი, რა გავლენა შეუძლია მოახდინოს რუსეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა?**

— ამერიკაში ეკონომიკური კრიზისი სერიოზულ სტრუქტურულ კრიზისს უკავშირდება, რუსეთში კი სხვა, სერიოზული რამ ხდება, ხოლო რაც ხდება, იმ მუტანტის სისტემური კრიზისია, რომელიც რუსეთში ბოლო 15 წელია ყალიბდება და საბოლოოდ პუტინის 8-წლიანი მმართველობის პერიოდში ჩამოყალიბდა. ჩემი აზრით, ამ მუტანტს არაფერი საერთო არა აქვს იმასთან, რასაც „კაპიტალიზმი“ და „საბაზრო ეკონომიკა“ ჰქვია. ექსპერტები მას სხვადასხვაგვარად, „ბანდიტურ“, „კორპორაციულ“, ოჯახურ“ კაპიტალიზმს“ უწოდებენ, პირადად მე უპირატესობას ვანიჭებ სახელწოდებას — „ბიუროკრატიული ფეოდალიზმი“.

ეკონომიკური წყობის მთავარი საკითხია საკუთრების ხასიათი, მაგრამ რუსეთში დახლისა და ნავთობის კომპანიის მესაკუთრეობა პირობითია და სუზერენის ლოიალობაზეა დამოკიდებული. დახლის მესაკუთრის სუზერენი შეიძლება იყოს მილიციის სერჟანტი, ნავთობის კომპანიისა კი — ნაციონალური ლიდერი. ეს სისტემა აბსოლუტურად ხელოვნურია. მასში არ არის საბაზრო ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიც არის ფინანსური სისტემა. დასავლეთში კრიზისს სწორედ ფინანსური სისტემა განიცდის. ამერიკელი ექსპერტები ვითარების აღწერისას იყენებენ გამოთქმას — „ნდობის კრიზისი“. ბანკები, იმის გამო, რომ ერთმანეთს არ ენდობიან, ერთმანეთს კრედიტს არ აძლევენ, მაგრამ რუსეთში ბანკებისადმი ნდობა არ იყო თავიდანვე, ვინაიდან რუსეთში არსებული ბანკები კლანების „ობშიაკია“.

ეს მუტანტი იმ გიგანტური ფულის ხარჯზე ფუნქციონირებდა, რომელსაც რუსეთი ნავთობის გაყიდვიდან და იმ კრედიტებიდან იღებდა. ფულს ბრიყვი დასავლელი საფინანსო ინსტიტუტები პუტინის მეგობარ კომპანიებს ხელოვნურად გაბერილ აქციებში აძლევდნენ. ახლა ერთიც და მეორეც მოიშალა და გამოსავალი არ ჩანს. სისტემა სულს ღაფავს. რუსეთში საცალო ვაჭრობასა და მშენებლობაში პრობლემები არ უნდა იყოს, მაგრამ ისინიც პირველ რიგში იმის გამო მოიშალნენ, რომ კრედიტებს ველარ იღებენ.

თუ დავუბრუნდებით ტერმინს „ნდობის ფაქტორი“, რუსეთში კორუფციის დონის გათვალისწინებით, ეს ტერმინი არაადეკვატურია. კორუფციას ორი მხარე სჭირდება, მაგალითად ბიზნესმენი ქრთამს აძლევს ჩინოვნიკს, მაგრამ პუტინიდან დაწყებული, უბრალო მილიციელით დამთავრებული, ბიზნესმენი და ჩინოვნიკი ხშირად ერთი და იგივე პირია.

ნათქვამიდან გამომდინარე, შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება — რუსეთში არსებული სისტემა კრიზის კი არ განიცდის, არამედ რაიმეთი უნდა შეიცვალოს. მთავარი ის არის, რომ ეს მოსკოვში ესმით. ეს ესმით იმ ადამიანებს, რომლებიც სისტემას წარმოადგენენ. ჩნდება კითხვა, რით შეიძლება შეიცვალოს არსებული სიტემა? რა მოუვა იმ პირობით საკუთრებასა და საკუთრების პირობით მფლობელებს? ვინ უნდა შეეწიროს ხალხის რისხვას? ეს კითხვები აწუხებს იმ ხალხს, ვისაც დასავლელი ექსპერტები რუსეთის პოლიტელიტას უწოდებენ.

**— როგორ შეაფასებდით რუსეთის პოლიტელიტაში ძალთა განლაგებას?**

— ჩამოყალიბებულია ორი ბანაკი. თავიდან მე მათ ვუწოდებდი „ნაციონალ-კლეპტოკრატებს“ და „გლობალკლეპტოკრატებს“. მათ შორის უთანხმოება ეკონომიკურ კრიზისამდე ბევრად ადრე გაჩნდა, მაგრამ პიკს საქართველოსთან ომის დროს მიაღწია. „ნაციონალ-კლეპტოკრატებს“ თბილისის აღება სურდათ. ისინი მიიჩნევდნენ, რომ რუსეთმა უნდა მიაფურთხოს დასავლეთს და თავისი პრობლემები გადაჭრას. „გლობალკლეპტოკრატებიც“ იზიარებენ ნეოიმპერიალისტურ, ანტიამერიკულ კომპლექსებს, მაგრამ მათ აღელვებთ, რომ პუტინი დასავლეთთან დაპირისპირებაში ძალიან შორს წავიდა. მათი აზრით, პუტინის ამგვარი პოზიცია რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს საფრთხეს უქმნის. სინამდვილეში, ამგვარი პოლიტიკა საფრთხეს მხოლოდ მათ ბედნიერ ცხოვრებას, დასავლეთში მცხოვრებ მათ ოჯახებს და დასავლეთის ბანკებში მათ ანგარიშებს უქმნის.

შემდეგ პროცესები დინამიკურად განვითარდა და ნათელი გახდა, რომ მედვედევ-პუტინის „ტანდემოკრატია“ დროის გამოცდას ვერ გაუძლებს. „ტანდემოკრატიას“ არღვევს არა პუტინსა და მედვედევს შორის უთანხმოება, არამედ ის, რომ „გლობალკლეპტოკრატების“ ხელში მედვედევი პუტინის წინააღმდეგ საშიში ინსტრუმენტია, რომელსაც შეუძლია პუტინის პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორება. რუსეთში პოლიტიკური ვითარება არამდგრადია და სიტუაციის გარკვევას 2009 ბოლომდე ვპროგნოზირებ.

ახლა მე „ნაციონალ-კლეპტოკრატებს“ სახელს ვუცვლი და მათ „ბუნკერის პარტიას“ ხოლო „გლობალკლეპტოკრატებს“ „თებერვლის პარტიას“ ვუწოდებ. „გლობალკლეპტოკრატებს“ შემუშავებული აქვთ პროგრამა. ამ პროგრამაში გასარკვევად საკმარისია თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის ნაშრომების გაცნობა. მედვედევის მხარდამჭერი ძალების გეგმა პუტინის გადაყენებას და ქვეყნის ზემოდან ლიბერალიზაციას ითვალისწინებს. პარტიის „პოლიტბიუროში“ შედიან ისეთი სახეები, როგორებიც არიან აბრამოვიჩი, ვოლოშინი, ჩუბაისი, იურგენსი.

იხ. 4 გვ.

◉ რუსი სპეციალისტის ხედვა

# ანდრეი პიონტკოვსკი: მედვედევ-პუტინის „ტანდემოკრატია“ დროის გამოცდას ვერ გაუძლებს

(მესამე გვერდიდან)

მათ ესმით, რომ ლიბერალური რეფორმების განვითარებისას ექნებათ ხელისუფლების შენარჩუნების პრობლემა. მედიის თავისუფლების პირობებში, თუ ისინი დაიწყებენ პუტინის ქურდობაზე საუბარს, მედიას მათ მიმართაც ექნება ბევრი შეკითხვა. დღეისთვის გაუგებარია „თებერვლის პარტიას“ ვისი მეტად ეშინია, „ბუნკერის პარტიის“ თუ – ხალხის. ბრწყინვალე პუბლიცისტი ლეონიდ რაძიხოვსკი თითქმის ყოველდღე აქვეყნებს სტატიებს, რომელშიც წერს, რომ რუსი ხალხი ველური და უვიცია და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისი ხელის ხლება, ვინაიდან რუსული ბუნტი ყოველთვის უაზრო და დაუნდობელია.

**– „თებერვლის პარტიას“ თქვენ თებერვლის რევოლუციის ანალოგიით უწოდეთ?**

– მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ 1917 წლისა და 1991 წლის თებერვალში ხელისუფლება თავისით გადავარდა. რა თქმა უნდა, იყო ზეწოლა ერთ შემთხვევაში რაძიანკოსა და მილიუკოვის სათათბიროს მხრიდან, მეორე შემთხვევაში რეგიონთაშორისი დეპუტატთა ჯგუფის მხრიდან, მაგრამ ხელისუფლებამ თავისივე ხელისუფლების სიმძიმეს ვერ გაუძლო და გადავარდა. საინტერესოა, რომ შედეგად ხელისუფლებამ სხვა იდეოლოგიის სამოსელში იგივე ადმინისტრაციული სისტემა, „ხელისუფლების ვერტიკალი“ შექმნა. ერთმა რუსმა ისტორიკოსმა მას „რუსული ვერტიკალიც“ კი უწოდა.

ახლა ბევრს საუბრობენ ესპანეთში 1977 წელს დადებულ ხელშეკრულებაზე, რომელსაც „მონკლოას პაქტი“ ჰქვია და ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სიტუაციიდან საერთო მიდგომების შემუშავებას ითვალისწინებდა. მაგრამ ამგვარი პაქტის შემუშავება ვერ მოხერხდება ცოცხალი ფრანკოს პირობებში, ისევ როგორც ხრუშჩოვი მე-20 ყრილობაზე, ცოცხალი სტალინის პირობებში ვერ წაიკითხავდა სტალინის მიმართ წაყენებულ ბრალდებებს. ცხადია, რუსეთში ამგვარი არაფერი არ მოხდება, ვიდრე პუტინის გადადგომის შესახებ ბრძანებულებას მედვედევი ხელს არ მოაწერს. მაგრამ ამგვარი რამ ძნელად წარმოსადგენია, ვინაიდან მედვედევს ხელი უკანკალებს და ამ ხელით ამგვარ ბრძანებას ხელს ვერ მოაწერს.

„ბუნკერის“ ხალხმა ყველაფერ ამის შესახებ იცის და საწინააღმდეგო ნაბიჯებისათვის ემზადება. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ მედვედევის მხარდამჭერი ძალების გეგმა პუტინის გადაყენებისა და ქვეყნის ზემოდან ლიბერალიზაციის შესახებ იცის და ამიტომ იყო, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გააუქმა და სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატისა და შპიონაჟის მუხლები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. ეს ცვლილებები სათათბიროს ჯერ არ მიუღია, მაგრამ აშკარაა, რომ მათ უახლოეს მომავალში მიიღებენ. გარდა ამისა, მცირდება რუსული ჯარი, მაგრამ იზრდება შინაგანი ჯარის რაოდენობა. საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ კრემლმა არქივს ჩააბარა მოძრაობა „ჩვენები“, მაგრამ ახლა ირკვევა, რომ მათი მომზადება კვლავ დაიწყო და მათგან მოიერიშე რაზმებს ამზადებენ. არ უნდა დაგვავიწყდეს კონსტიტუციაში უკვე შეტანილი ცვლილებებიც პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის გაზრდის შესახებ. არ გამოვრიცხავ, რომ ერთ მშვენიერ დღეს ტელევიზიის ეკრანზე გამოჩნდება მედვედევი, რომელიც დაახლოებით ასეთ რამეს იტყვის – მე მესამე თაობის პეტერბურგელი ინტელიგენტი ვარ და თუ ხალხს მიეცა ახალი უფლება, 6 წლით აირჩიოს პრეზიდენტი, ამის საშუალება უნდა მიეცეს. ამიტომ მე გადავდექი დაკავებული თანამდებობიდან. ჩემი ვარაუდით, ამ სცენარიდან ერთ-ერთი იქნება რეალიზებული.



**– შექმნილ ვითარებაში ასეთი სცენარები ეკონომიკური კრიზისიდან მოსახლეობის ყურადღების გადატანის საუკეთესო საშუალებაა?**

– კრიზისი მართლაც ძალიან ღრმაა. ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ რუსეთში 6 მილიონი ადამიანი უმუშევარი დარჩა. კიდევ 2 მილიონი ადამიანია სამთვიან შვებულებაში გაშვებული. ეს ხალხი ჯერ მშვიდად ელოდება პირველ მარტს და სჯერა, რომ სამუშაოს დაუბრუნდებიან. სამწუხაროდ, რუსეთში არ არის იმის წინაპირობა, რომ ქარხნები ამუშავდეს და ისინი მუშაობას დაიწყებენ. სოციალური ფონი როგორიც არ უნდა იყოს, რუსეთში გადამწყვეტი ეს არ იქნება. გადამწყვეტი იქნება ელიტაში განხეთქილება და სასახლის კარზე გადატრიალებები. სოციალური ფონი ელიტაში განხეთქილებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. მიუხედავად ამისა, არ უნდა ველოდოთ მრავალათასიან დემონსტრაციებს, ზამთრის სასახლის აღებას ან კიდევ ამის მაგვარ რაიმეს. მაგრამ თუ რუსეთში დემონსტრაციები მაინც დაიწყო, მათ სასტიკად ჩაახშობენ.

„თებერვლის პარტიის“ სისუსტე ის არის, რომ მას ხალხისადმი ისეთივე დამოკიდებულება აქვს, როგორც – „ბუნკერის პარტიას“. თუ უახლოეს მომავალში სერიოზული უმართავი პროცესები დაიწყო (მათი პროვოცირება კი ძნელი არ არის), „თებერვლის პარტია“ მხარს დაუჭერს დემონსტრაციების სასტიკად ჩახშობას და ამით სისხლში გაისვრის ხელს. გახსოვთ ჩუბაისის ცნობილი ფრაზა – „ჩეჩნეთში რუსული არმიის აღორძინება ხდება და ვინც ასე არ ფიქრობს – მოღალატეა“. დემონსტრანტთა დახვრეტის შემდეგ იგივე ჩუბაისი იტყვის – „რუსეთის შინაგანი ჯარები წელში იმართებიან და ვინც ასე არ ფიქრობს – მოღალატეა“.

**– თქვენი აზრით, მაინც რომელი სცენარით არის შესაძლებელი მოვლენათა განვითარება და რა შეიძლება მოხდეს რუსეთში ერთი ან მეორე სცენარის განხორციელების შემთხვევაში?**

– ძალიან იოლია იმის წარმოდგენა, თუ რა მოხდება პირველი სცენარის, ანუ „ბუნკერის პარტიის“ გამარჯვების შემთხვევაში. შედეგად წარმოიქმნება კვაზიშიზოიდური რეჟიმი, რომელიც დაიწყებს ოპოზიციის დევნას და ნებისმიერი სოციალური უკმაყოფილების მკაცრად ჩახშობას. ეს ხალხი დაიწყებს საუბარს, რომ არანაირი ეკონომიკური კრიზისი არ არის და მსოფლიო იმპერიალიზმი ცდილობს რუსეთის დახრჩობას. ბუნებრივია, რომ „ბუნკერს“ მასების მობილიზაციისთვის დასჭირდება სამხედრო ავანტიურის დაწყება. მათ დასჭირდებათ იმის დამტკიცება, რომ რუსეთი უპირისპირდება ამერიკას. სიგიჟის მიუხედავად, პუტინის მხარდამჭერები მზად არ არიან აშშ-სთან საბრძოლველად, მაგრამ შესაძლებელია სხვადასხვა ვარიაციაში ომი დაიწყონ საქართველოსთან ან უკრაინასთან - მაგალითად, თბილისის აღების ოცნების აღსრულება ან ყირიმში რაიმე ავანტიურის წამოწყება. ყველა შემთხვევაში ეს დაპირისპირება შეფასდება, როგორც ომი „ერთპოლუსიან მსოფლიოსთან“.

სხვას უნდა ველოდოთ „თებერვლის პარტიის“ გამარჯვების შემთხვევაში. ეს ხალხი მიიჩნევს, რომ დასავლეთთან კონფრონტაციაში რუსეთი ძალიან შორს წავიდა და ახლა საჭიროა იმავე დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება. ახლახან ნიუ-იორკში იმყოფებოდა მედვედევთან დაახლოებული, განვითარების თანამედროვე ინსტიტუტის ხელმძღვანელი იური იურგენსი და აშშ-ს მოქმედების ასეთი სცენარი შესთავაზა: აშშ აღმოსავლეთ ევროპაში არ განალაგებს რაკეტსაწინააღმდეგო სისტემას, რუსეთი კი ირანთან დაკავშირებით რაღაცას გააკეთებს. ეს ნიშნავს, რომ რუსეთი დასავლეთთან კონფრონტაციის გზას არ დაადგება, აშშ კი ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს რუსეთში დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და პუტინის მმართველობის დროინდელი ექსცესები თანდათან ლიკვიდაციას განიცდის.

ცხადია, რომ ასეთი პოლიტიკით რუსეთში არანაირი სოციალური პრობლემები არ გადაწყდება. ასევე ცხადია, რომ ადამიანებს, რომლებიც ელცინის ტალღის ოლიგარქები არიან და შავი წარსული აქვთ, თავისუფალი მედიის პირობებში ბევრ რამეს გაუხსენებენ. შედეგად ვითარება ძალიან დაემსგავსება 1917 წლის თებერვალს – ჩუბაის-აბრამოვიჩ-ვოლოშინ-იურგენსის დროებითი მთავრობა ვერ შეძლებს ხელისუფლების შენარჩუნებას. ასეთ შემთხვევაში დიდი ალბათობაა, რომ ხელისუფლება აიღონ მემარცხენე ექსტრემისტებმა, ნაციონალისტებმა ან რუსეთის პოლიტიკურ კლასს ეყოფა სიბრძნე, „მონკლოას პაქტის“ ხელმოსაწერად და თავისუფალი არჩევნების ჩასატარებლად.

ჩვენ ვსაუბრობდით ნდობის კრიზისზე. ხელისუფლებისადმი ნდობის გარეშე რუსეთის ეკონომიკას არაფერი ეშველება. რუსეთის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პერსპექტივაზე საუბარი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა რუსეთში პოლიტიკური კრიზისი დასრულდება.

**კობა ბენდელიანი**

◉ მკვახე შეძახილი

# თექოთა სოდომური როკვით გვინდა გამარჯვება?!

## მეტი არაა ჩვენი მტერი, ამით სახელი და წარმატება ვერ მოვიპოვოთ!

**არა ძმაო, შერეკილი ხუტა ოდიშელიძისა არ იყოს, „ნაცების“ პრეზიდენტსაც არ ასვენებს გამჩენი. არადა, ავი ენები სწორედ მიშას მიაწერენ მაისში, მოსკოვში გასამართავ ევროვიზიის კონკურსზე, ქართული პროვოკაციული დესანტის გადასხმის იდეას.**

ამისთანა ამბავი გაგონილა? ეს ხომ იგივეა, რომ სტუმრად მისულმა ოჯახის მასპინძელი გალანძღოს? ასეთ დროს, როცა მეზობელ ქვეყანასთან საომარ ვითარებაში იმყოფები, ორი ვარიანტი არსებობს: ან პროტესტის ნიშნად არ მიდიხარ, ან, თუ შენი თავის იმედი გაქვს, მიდიხარ და მტრისსავე მოედანზე ამტკიცებ შენს სიმართლეს, ძალას, სიმღერაში იქნება ეს, სპორტში თუ სხვა რამეში.

**ან მესამე – პუტინის სიმღერ-სიმღერით ლანძღვის ვარიანტით რისი მიღწევა გვინდა? არ ვიცი, რა აქვთ ჩაფიქრებული. სამაგიეროდ, იმის გათვლა კი თავისუფლად შეიძლება, თუ რა გამოვა აქედან.**

რა და ის, რაც აგვისტოს მოვლენების მიუხედავად, ვერაფრით მოხერხდა საქართველოში – რუსოფობიის ტალღის აგორება. არ ვიცი, ახლა მოხერხდება თუ არა ეს, მაგრამ ჩაფიქრებული რომ სწორედ ესაა, ჩემთვის უეჭველია.

ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ სტეფანემ თავისი თექოების სოდომური როკვით და მისმა ლამაზმა კომპანიამ (ნინი ბადურაშვილი, თაკო გაჩეჩილაძე, ქრისტინე იმედაძე) მოახერხეს ჩანაფიქრის განხორციელება და რუს ხალხს უმღერეს – არ გვინდა პუტინი! რა რეაქცია ექნებათ უბრალო რუსებს?

**ჩვენ, ქართველებმა, თუ შინ და გარეთ თავმოჭრილი, შერცხვენილი პრეზიდენტი არ დავანებეთ რუსებს, აგვისტოში დიდი და პატარა გვერდში დავუდექით, რატომ გვგონია, რომ იგივეს (თუ მეტს არა!) რუსებიც არ იზამენ? მით უმეტეს, რომ, ჩვენგან განსხვავებით, რუსების პრემიერს ქვეყნის გარეთ აქვს ცუდი სახელი, თორემ სახლში შეუვალი ავტორიტეტით სარგებლობს. განსაკუთრებით ახალგაზრდობაში.**

სხვათა შორის, მათი სკინჰედების სახელით უკვე გაჩნდა ინტერნეტსაიტებზე მუქარები, რომ ქართველ „ხელოვნებს“, სტეფანეს თამადობით, რაც სიგრძე აქვთ, სიგანედ უქცევენ. და ახიც იქნება მათზე, მაგრამ...

**თუ ასეთი რამ მოხდა, ეს ხომ ჯაჭვურ რეაქციას გამოიწვევს რუსეთში მაცხოვრებელი ასეულ ათასობით ქართველის მიმართ? თუმცა რა, ჩვენს ხელისუფლებას დიდი ხანია ფეხებზე ჰკიდია ეს ხალხი – აქაოდა, რატომ შუაგულ რუსეთშიც „მიშა, მიშას!“ არ ბღავისო!**

შე კაი კაცო, თუ შნო გაქვს, ჩადი და სიყვარულზე, თავისუფლებაზე იმღერე. ისეთი ტიპის სიმღერა ჩაიტანე, როგორიც თავის დროზე სოსო პავლიაშვილმა იმღერა იურმალაზე „სამშობლოს“ სახით და გრან-პრი აიღო. ამაზე დიდი ნიშნის მოგება იქნება?

**მაგრამ ეს რომ მოახერხო, სულ ცოტა, სოსო პავლიაშვილი ან ანრი ჯოხაძე უნდა იყო და არა საეჭვო იმიჯის მქონე სტეფანე. ანრი ჯოხაძე, კიდევ ერთხელ დაბლოკეს. გახსოვთ, ალბათ, იურმალაზე სოფო ხალვაშის ტრიუმფის შემდეგ, ამ ფესტივალზე ანრი არ გაუშვეს, სუსტი ხმა გაქვსო(???) და მის მაგივრად ვინც წავიდა, იმისგან ისეთი სირცხვილი ვჭამეთ, სად შევმძრალიყავით, არ ვიცოდით.**



ხალხო, დაგვავიწყდა რუსთაველის „გველსა ხვრელით ამოიყვანს“, ან მგონი ხალხური – „რაც მტრობას დაუნგრევია“?.. სხვა ყველაფერთან ერთად ამ სიბრძნემაც მოგვაღწევინა დღევანდელ დღემდე ქართველებს, თორემ...

გაიგე, შე ქათამო სტეფანე? მეტი არაა ჩემი და შენი გამმარჯვებელი ჟიურის მტერი!

**ბოლოს, რა ინტონაციითაც „საკნიდან“ ეფერება „გრეჩიხა“ გივი თარგამაძეს, ისევე მინდა სტეფანეს შემოვძახო: სტეფანეეე!!!**

**დავით მხეიძე.**

ოპოზიცია

# კობა დავითაშვილი: 9 აპრილს აუცილებლად შევიკრიბებით

**„ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა 9 აპრილს დაგეგმილ აქციას სპეციალური პრესკონფერენცია მიუძღვნა. როგორც ცნობილია, დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.** ამის მიზეზი კი მათი განსხვავებული შეხედულებებია ხელისუფლების გადადგომის გზებთან დაკავშირებით. მაგალითად, „ლეიბორისტები“ პრეზიდენტის დაუყოვნებლივ იმპიჩმენტს ემხრობიან, ახლახან შექმნილი „ალიანსი“ ირაკლი ალასანიას ხელმძღვანელობით რეფერენდუმის ჩატარების ინიციატივით გამოდის. ოპოზიციის ყველაზე რადიკალური ჯგუფი კი, რომელსაც „ხალხის პარტიაც“ მიეკუთვნება, საააკაშვილის ხელისუფლების „თავიდან მოსაცილებლად“ ქუჩის აქციების გამართვას გეგმავს. ზურაბ ნოღაიდელისა და ნინო ბურჯანაძის პარტიები კი ჯერ კიდევ მოლაპარაკებების რეჟიმში არიან.



პრესკონფერენციაზე კობა დავითაშვილმა სწორედ ზემოთ აღნიშნულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გააკეთა განცხადება და აღნიშნა, რომ უნდა შესრულდეს ჯერ კიდევ 7 ნოემბერს დადებული შეთანხმება, რომელიც ოპოზიციურ პარტიებს შორის მოხდა მასობრივი საპროტესტო აქციების გამართვის შესახებ. მან ასევე აღნიშნა, რომ საბოლოო შეთანხმება უკვე მიღწეულია კონსერვატიულ პარტიასთან, სხვებთან კი მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

კობა დავითაშვილი ასევე გამოეხმაურა ირაკლი ალასანიას და რესპუბლიკელები-ახლების ალიანსის ინიციატივას და ულტიმატუმს ხელისუფლებისადმი, რომ ათ დღეში დაინიშნოს რეფერენდუმი.

– რეფერენდუმის იდეა თავისთავად ცუდი არ არის, ცუდია ყველა ის იდეა, რომელიც წარმოიშობა მხოლოდ იმიტომ, რომ განხეთქილება შეიტანოს დანარჩენ ოპოზიციურ პარტიებში. ყველას აქვს უფლება, თავისი გზა შესთავაზოს ხალხს, მაგრამ ეს ერთიანობის კონტექსტში უნდა მოხდეს. მიუხედავად პოზიციების სხვადასხვაობისა, ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკება გავმართოთ ირაკლი ალასანიას გუნდთან. მან დასძინა, რომ თუ სააკაშვილი ხელისუფლებიდან არ წავა, ხალხს აქვს უფლება, აჯანყდეს მისი ტირანიის წინააღმდეგ და ეს კონსტიტუციის დარღვევად არ ჩაითვლება – ამით ჩვენ შევძლებთ სამუდამოდ გავთავისუფლდეთ ამ უსამართლო რეჟიმისგან – განაცხადა „ხალხის პარტიის“ ლიდერმა და აღნიშნა, რომ თუ ხელისუფლება გამოიყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიც გამოიყენა 7 ნოემბერს, მაშინ მისი დამარცხება გაცილებით დაჩქარდება და გარდაუვალი გახდება.

**ანა წიწილაშვილი**

ინფორმაცია

## შეუერთდება ბურჯანაძე ახალ ალიანსს?

**პოლიტიკური ექსპერტი რამაზ საყვარელიძე არ გამორიცხავს, რომ ახლად შექმნილი პოლიტიკური გაერთიანება „ალიანსი საქართველოსთვის“ უახლოეს ხანებში კიდევ უფრო გაფართოვდეს და სხვადასხვა შედარებით სუსტ ოპოზიციურ პარტიებს გარდა პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემაც სწორედ ამ ალიანსთან ითანამშრომლოს.**



**გაერთიანება შეიძლება შეიქმნას იმ პრინციპით, როდესაც შედარებით სუსტი ცდილობს შეეკედლოს უფრო ძლიერს. თუკი ახლად შექმნილი ალიანსი ძლიერი აღმოჩნდება, შედარებით სუსტი პოლიტიკური ძალები ამ ალიანსში გაერთიანებას შეეცდებიან. ამას გარდა, სხვა ოპოზიციური ძალებიც, რომელთაც დამოუკიდებლად თამაშის სურვილი აქვთ, შეეცდებიან ეს პოლიტიკური ძალები თავისკენ მიიზიდონ, – აცხადებს რამაზ საყვარელიძე.**

**ექსპერტის აზრით, პოლიტიკურ ძალთა გამსხვილების პროცესი, რომელიც ბოლო ხანს შეიმჩნევა, ქვეყნისთვის მხოლოდ სასიკეთო შეიძლება იყოს.**

**რაც შეეხება ნინო ბურჯანაძის „მოძრაობა დემოკრატიული საქართველოსთვის“ ახალ ალიანსთან თანამშრომლობას, როგორც რამაზ საყვარელიძემ განაცხადა, ეს გამორიცხული არ არის, იმის მიუხედავად, რომ „ახალი მემარჯვენეები“ ამ ეტაპზე ასეთი თანამშრომლობის მომხრენი დიდად არ არიან და არც „რესპუბლიკური პარტიის“ წევრები შეხვდებიან ამ ალიანსს დიდი ენთუზიაზმით.**

## „ქრისტიან-დემოკრატები“ ჯონდის იდეებს იპარავენ?

**„ქრისტიან-დემოკრატებს“ ჯონდი ბაღათურია პლაგიატობაში ადანაშაულებს.**

**როგორც ბაღათურიამ გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, „ქრისტიან-დემოკრატები“ ახლა გამოფხიზლდნენ, პატიმრებთან დაკავშირებით მისი დაწერილი ინიციატივა არც შეცვალეს და საკუთარ ინიციატივად გაასაღეს.**



**„ეს უხერხულია“, – განაცხადა ბაღათურიამ და დასძინა, რომ მან 4-ჯერ გამართა შეხვედრა პატიმრობის შესახებ კანონში ცვლილებებზე.**

**დეპუტატმა აღნიშნა, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის და „ქრისტიან-დემოკრატებს“ შრომის კოდექსთანაც ჰქონდათ ერთიდა იგივე ინიციატივა.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

ვაინახების დეპორტაციის 65-ე წლისთავი



# ალექსანდრე ყაზბეგის გაცრეცილი სურათი

## მსოფლიომ 23 თებერვალი გენოციდის დღედ უნდა აღიაროს

**65 წლის წინათ, 1944 წლის 23 თებერვალს, გერმანელებთან თანამშრომლობის მოტივით, მშობლიური მიწა-წყლიდან ასი ათასობით ჩეჩენ-ინგუში აყარეს. ისინი სატვირთო ვაგონებში ჩაყარეს და უკაცრიელ ციმბირსა თუ შორეულ აღმოსავლეთში, შუა აზიასა და ყაზახეთში გაასახლეს. დეპორტაციის დღეებში გადასახლებულთა ორმოცი პროცენტი გზაში დაიღუპა, რაც ვაინახთა გენოციდადაა მიჩნეული.**

ვაინახების დეპორტაციის 65-ე წლისთავთან დაკავშირებით, „თბილისი მარიოტში“ საგანგებო საღამო გაიმართა. „კავკასიის ფონდის“ პრეზიდენტმა, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო თანამშრომლობის კომისიის თანათავმჯდომარემ გივი ღამბაშიძემ ეს დღე ტრაგიკულად მოიხსენია. ბატონმა გივიმ საგანგებო მიმართვაში XI საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ლეონტი მროველი დაიმოწმა, რომელიც წერდა, ჩვენ კავკასიელი ხალხები სისხლისმიერი ძმები ვართ, ბიბლიური თარგამოსის მემკვიდრეები... და ჩვენ ამას გულით ვგრძნობთ და ისტორიულ ხსოვნაში ვინახავთო. „დღევანდელი ჩეჩნები და ინგუშები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან. ჩვენთვის ეს ტრაგედია ამითაც არის გულთან ახლოს მისული. ჩვენი ცრემლები ერთვის ამ დიდ ტრაგედიას“, – განაცხადა ბატონმა გივიმ.

მეუფე ანანია ჯაფარიძემ მძიმე დღე უწოდა 65 წლის წინანდელ 23 თებერვალს, როცა 400 ათასზე მეტი ადამიანი გაასახლეს ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან. – სამწუხაროა, – განაგრძო მეუფემ, – რომ არცთუ დიდი ხნის წინათ, 300 ათასზე მეტი ადამიანი რუსულმა იმპერიულმა ძალებმა აფხაზეთიდან გამოასახლეს, სულ ახლახან კი შუაგული ქართლიდან ქართლელები გამოდევნეს. „ჩვენ ერთი ტრაგედია გვაქვს და ერთი საერთო მტერი გვყავს – რუსეთის იმპერია... კავკასიური ხალხები უნდა ვიყოთ უფრო ბრძენი, ვიცნოთ მტერი და მის იარაღად არ ვიქცეთ“, – დაასკვნა მეუფემ.

პარლამენტარმა ნუგზარ წიკლაურმა 23 თებერვლის ერთ სამწუხარო ნიუანსზეც გაამახვილა ყურადღება – ის არა მარტო 1921 წლის 23 თებერვალს კოჯორ-ტაბახმელასთან რუსეთის არმიის წინააღმდეგ მებრძოლი ქართველი ვაჟკაცების დაღუპვის დღეა, არამედ რუსული არმიის დღეც. „თითქოს განსაკუთრებული ცინიზმია იმაში, რომ ჩვენი ხალხის უბედურების თარიღს საკუთარ ზეიმად მიიჩნევენ“.

ნუგზარ წიკლაურმა „თბილისი მარიოტში“ შეკრებილ საზოგადოებას ერთი სიახლის შესახებაც ამცნო – საქართველოს პარლამენტში კავკასიური მიმართულების ჯგუფის ჩამოყალიბების შესახებ. პარლამენტარმა საგანგებო მიმართვა წაიკითხა ჩეჩენი და ინგუში ხალხებისადმი.

**„ჩვენი ხალხების მიმართ გენოციდის დანაშაულებრივ პოლიტიკას რუსეთის იმპერია დღემდე დაუსჯელად განაგრძობს. მომხდურთან ბრძოლაში ყოველდღიურად იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები. სისხლისგან იცლება ჩეჩნეთ-ინგუშეთი და საქართველო.**

**რუსეთმა კავკასიელებს არ აკმარა მუჰაჯირობის საშინელებანი მე-19 საუკუნეში, ხალხთა გადასახლებანი 1944 წელს, როცა ვაინახებთან ერთად სამშობლოდან გაასახლეს ბალყარელები, ყარაჩაელები, მაჰმადიანი ქართველები... გასული საუკუნის 90-იან წლებში ელცინისა და პუტინის ორგზის სამხედრო ავანტიურამ შეიწირა ორასი ათასზე მეტი ვაინახის სიცოცხლე, და რაოდენ სამწუხაროა, რომ მათ შორის ორმოცი ათასი ბავშვია. ისტორია პასუხს ითხოვს პერმანენტული დანაშაულებისათვის. ნებისმიერ პატიოსან კაცს შეზარავს ცინიზმი, როდესაც ხოცავენ ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს, მოხუცებს, სნეულებს, ჯან-ღონით აღსავსე ახალგაზრდებს... თანამედროვე მსოფლიომ 23 თებერვალი საშინელი გენოციდის დღედ უნდა აღიაროს, ხოლო რუსეთის იმპერიამ პასუხი აგოს ამ და სხვა დანაშაულებათა გამო“,** – ჩაწერილია მიმართვაში.



დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, პროფესორმა მერაბ ჩუხუამ განაცხადა, რომ კავკასიის ისტორიაში მრავალი მაგალითი არსებობს, საურმაგ მეფის დროიდან დღემდე ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობისა, მაგრამ ყველაზე დიდი ძალა აქვს რაინდობის ცოცხალ მაგალითს, რაც ჩვენ ყველამ ვნახეთ ჯოჰარ დუდაევისა და ზვიად გამსახურდიას მეგობრობითო. ისინი იბრძოდნენ კავკასიის თავისუფლებისთვის და ამ ბრძოლაში დაცემული შეუდრეკელი რაინდები არიანო.

„მახსოვს, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ გროზნოში ასეთი რამ თქვა, – საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის, – ეს ნიშნავს, რომ საქართველო აზროვნებდა ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და თავადვე განმარტა: ესაა საერთოკავკასიური ცნობიერების ალეგორიული ასახვა, რომლის ნაწილიც ჩვენ ვიყავით“, – აღნიშნა მერაბ ჩუხუამ.

მან ისაუბრა, აგრეთვე, საკუთარი წიგნის „იბერიულ-იჩქერიულ ენათა შედარებითი გრამატიკის“ შესახებ, რომელიც შარშან უნივერსიტეტის გამომცემლობამ დასტამბა.

„საშუალება მქონდა, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში მეცხოვრა 20 წლის მანძილზე და მათი ენა შემესწავლა. ეს 20 წლის ნამუშევარი მივუძღვენი სწორედ ამ ხალხებს – ქართველებსა და ვაინახებს და მათ საერთო წარმომავლობას. ბედნიერი ვარ, რომ ენათმეცნიერების თანამედროვე მეთოდიკით დამტკიცდა ეს ერთიანობა ენობრივი მასალის მიხედვით“, – განაცხადა მერაბ ჩუხუამ.

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა ორ სიახლეზე გაამახვილა ყურადღება – იგეგმება წიგნის გამოცემა კავკასიელი ხალხების ისტორიაზე, რომელიც იქნება შეულამაზებელი და რეალური ისტორია. ასევე, მინისტრის თქმით, აღდგება უწინდელი ტრადიცია, და ჩრდილოკავკასიელ სტუდენტებს შეეძლებათ საქართველოში ცოდნა-განათლების მიღება.

ამ საკითხზე ვრცლად უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ ილაპარაკა. მან დასძინა, რომ გაწყვეტილია კავშირები ჩვენს ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან და საჭიროა კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობის აღდგენა-განახლება.

მე კი მინდა ეს წერილი ქალბატონი მედა ხანგოშვილის სიტყვებით დავასრულო: გადასახლების დროს, გრძელ გზაზე ჩეჩნებს უბით წაუღიათ ალექსანდრე ყაზბეგის წიგნი. აწ გარდაცვლილ პოეტს, ბატონ შალვა მჭედლიშვილს უთქვამს, – როდესაც ერთ-ერთ ჩეჩნურ ქოხში შევედი, უპირველესად თვალში რაც მომხვდა, ეს იყო ალექსანდრე ყაზბეგის გაცრეცილი სურათი, რომელიც თავთან ეკიდათო... ეს ყველაფერს ამბობს, – თქვა ქალბატონმა მედამ.

მართლაც, ყველაფერს ამბობს და კავასიელი ხალხების ერთობის იმედადაც გვესახება...

**თამარ შაიშმელაშვილი**

◎ გიწვევთ სადისკუსიოდ

*პატივცემულო რედაქცია,*

*საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება თავის უკანასკნელ თვეებს ითვლის. დროა, დაიწყოს კონკრეტული საუბარი იმაზე, თუ რა გზით იაროს ჩვენმა ქვეყანამ მომდევნო წლებში, კერძოდ, როგორ გამოვიყენოთ უცხოეთის დანაპირები 4,5 მილიარდი ევრო?*

*გთავაზობთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ამ თემაზე სპეციალური ფართო საჯარო პოლემიკის დაწყების იდეას და წარმოგიდგენთ ჩემს წინადადებებს ამ თვალსაზრისით.*

*მიმაჩნია, რომ ეს სოლიდური თანხა არ უნდა მოხვდეს ულირსი ჩინოვნიკების ხელში, თორემ მას ისევე შეახრამუნებენ, დაამლერებენ და მოინელებენ, როგორც აქამდე ეკეთებდნენ. საქართველო და ქართველი ხალხი კი ისევ გაბითურებული და მოტყუებული დარჩება.*

*პატივისცემით*

***თამაზ შიოშვილი.***

*სს „დიპლომისშემდგომი განათლების სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის“ წამყვანი უროლოგი, პროფესორი.*

# როგორ უნდა გამოვიყენოთ უცხოეთის დახმარება საქართველოში?



**საქართველო დღეს დათრგუნულია პოლიტიკურად, ეკონომიკურად, მორალურად. ჩვენმა ახლანდელმა ვაი-პოლიტიკოსებმა გლობალური პოლიტიკის ისეთ ღრმა ჭაობში შეტოპეს, საიდანაც გამოსვლა ჩვენისთანა პატარა და სუსტი ქვეყნისთვის, სამწუხაროდ, მხოლოდ ჩვენზე არ არის დამოკიდებული. ამიტომ ზესახელმწიფოების ბრძოლის შუაგულში ყოფნას ჯერჯერობით უნდა მოვერიდოთ და პირველ რიგში მივხედოთ ქვეყნის ეკონომიკურ და მორალურ გაჯანსაღებას.**

ამჟამად უცხოეთის ქვეყნების მოსალოდნელ დახმარებასთან (4,5 მლრდ. ევრო) დაკავშირებით საქართველოს აქვს უნიკალური შანსი, განავითაროს ეკონომიკის ისეთი წამყვანი დარგები, რომლებიც შემდეგ განაპირობებენ სხვა უამრავი პერსპექტიული მიმართულებებისა და ახალი ტექნოლოგიების განხორციელებას. ასეთ კონკრეტულ წამყვან სტრატეგიულ დარგებად შეიძლება ჩაითვალოს:

### მძლავრი ელექტროსადგურების აშენება, მაგალითად, ხუდონჰესის კასკადისა

**(1300 მეგავატი სიმძლავრის, მშენებლობის ფასი 1 მლრდ ევრო).**

იგი მთლიანად დააკმაყოფილებს ჩვენი ქვეყნის დეფიციტს ელექტროენერგიაში.

ჰესი უნდა იყოს სახელმწიფოს საკუთრებაში. აქედან გამომდინარე, შესაძლებელი იქნება ელექტროენერგიის სამომხმარებლო ფასი შემცირდეს სიმბოლურ დონემდე (0,5 თეთრი 1კვ/ს, ნაცვლად ახლანდელი 18 თეთრისა). ელექტროენერგია გახდება ხელმისაწვდომი მრეწველობისთვის, მოსახლეობისთვის, საგრძნობლად შემცირდება შეშისა და იმპორტული ნავთობპროდუქტების (აირის) გამოყენება, გაიაფდება წყლის მიწოდება, განვითარდება ახალი, ენერგოტევადი დარგები (ფოლადის, ალუმინის წარმოება ელექტროდნობის მეთოდით და უამრავი სხვა საჭირო მიმართულება). ზედმეტი ელექტროენერგია შეიძლება გაიყიდოს საზღვარგარეთ.

ასეთი მძლავრი სახელმწიფო ელექტროსადგურის არსებობა სულაც არ დათრგუნავს ამ დარგის განვითარებას კერძო სექტორში, ვინაიდან ყოველთვის იქნება მოთხოვნილება და შესაძლებლობა, ზედმეტი ელექტროენერგია გაიყიდოს საზღვარგარეთ საერთაშორისო ფასებში.

ბუნებრივია, ელექტროენერგიის მიწოდება მომხმარებლამდე სახელმწიფომ ასევე თავის ხელში უნდა აიღოს, ხოლო უცხოური პარაზიტული საშუამავლო გამანაწილებელი კომპანიები უნდა განიდევნოს ქვეყნიდან.

ელექტროგენერაციის განვითარება და მისი განკარგვა-მიწოდება სახელმწიფოს მიერ ჩვენს ქვეყანას უაღრესად მომგებიან მდგომარეობაში ჩააყენებს და უზრუნველყოფს მის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას ნებისმიერი საერთაშორისო კრიზისის პირობებში.

### სახელმწიფო ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება

იმის გათვალისწინებით, რომ 1980-იან წლებში, როდესაც მრეწველობა, ტრანსპორტი გამართულად მუშაობდა, საქართველო წელიწადში მოიხმარდა 6 მლნ ტონა ნავთოპროდუქტს, ახალი ქარხნის წარმადობაც პირველ ეტაპზე შეიძლება დაიგეგმოს ამავე მოცულობით. **მისი მშენებლობის ფასი შეადგენს 200-300 მლნ ევროს.**

მართალია, ამჟამად საქართველოს არ გააჩნია საკმარისი მოცულობის საკუთარი ნავთობი (1970-იან წლებში მისი მოპოვების პიკმა მიაღწია მხოლოდ 3 მლნ. ტონას), მაგრამ დროებით ქარხანამ შეიძლება იმუშაოს იმპორტულ (აზერბაიჯანულ) ნავთობზე. ქარხნის მუშაობა მაინც რენტაბელური იქნება. ვინაიდან, ნავთობის შესყიდვისა და გადამუშავებული ნავთობპროდუქტების თვითღირებულების ფასი ყოველთვის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე იმპორტირებული მზა ნავთობპროდუქტებისა. ამ გზით სამომხმარებლო ნავთობპროდუქტების ფასი საქართველოში შეიძლება შემცირდეს 2-3-ჯერ დღევანდელთან შედარებით და უფრო მეტადაც. სახელმწიფო თვითონ დაადგენს მათზე გონივრულ ფასს და ბოლო მოეღება ნავთობპროდუქტებზე უნამუსო სპეკულაციას.

გარდა ამისა, გამოყენებული იქნება ნავთობის გადამუშავების სხვა ძვირფასი კომპონენტები (საპოხი ზეთები, მაზუთი, ბითუმი, ასფალტი), განვითარდება ახალი, პერსპექტიული — ნავთობქიმიის დარგი (ხელოვნური ბოჭკოები, პოლიეთილენი და სხვა).

მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ პატარა ქვეყანა-ქალაქი სინგაპური, რომელიც მდებარეობს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში (ფართობი 600 კვ.კმ (30X20 კმ). მისი ძირითადი მრეწველობა სწორედ იმპორტული ნავთობის გადამუშავება და მზა ნავთობპროდუქტების ექსპორტია. ამით მიაღწია ქვეყანამ თავის კეთილდღეობას.

მნიშვნელოვანი საკითხია, კონკრეტულად **სად უფრო ხელსაყრელია ასეთი ქარხნის აშენება საქართველოში?** 1970-იან წლებში ეკონომიკის ინსტიტუტში სპეციალისტებმა ი. შიოშვილმა და ვ. ჩაჩანიძემ ჩაატარეს ამ მიმართულებით სპეციალური კვლევა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებაც გაიმართა. აღმოჩნდა, რომ თანამედროვე ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის აშენება საქართველოში ყველაზე მიზანშეწონილია **ქ. გარდაბანში.**

გარდაბანთან ახლოს (გაჩიანში) გადის ნავთობსადენი ბაქო-ბათუმი, საიდანაც ნედლეული შეიძლება შევიდეს ქარხანაში დამატებითი (15 კმ) მილით. საამისოდ არ იქნება საჭირო უფრო ძვირი რკინიგზის და ცისტერნების გამოყენება.

გარდაბანთან ახლოს გადის მდინარე მტკვარი, რომლის წყალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დახურული ციკლით, მდინარის გაბინძურების გარეშე.

გარდაბანში მდებარეობს თბილსრესი, რომელიც მაზუთს მოიხმარს ცხელ მდგომარეობაში.

გარდაბანშია ასფალტისა და რუბეროიდის ქარხნები.

ვინაიდან ნავთობის საბადოები საქართველოში განლაგებულია ძირითადად აღმოსავლეთ რეგიონებში, მათი წარმადობის გაზრდის შემთხვევაში ჩვენი საკუთარი ნედლეული ასევე შეიძლება გადამუშავდეს გარდაბანში.

ქვეყნის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ ქარხანა შეიძლება გაფართოვდეს და მან იმუშაოს ექსპორტზე საერთაშორისო ფასებში.

რაც შეეხება ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას, იგი სრულიად ამორტიზებულია, აბინძურებს საკურორტო ზღვისპირა ზოლს, რომელიც საგრძნობლად შემცირდა აფხაზეთის დაკარგვის შედეგად. ამიტომ ბათუმის ქარხანა უნდა დაიხუროს, მისი ტერიტორია კი გამოყენებული იქნეს სხვა სასარგებლო მიზნისათვის.

### სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა,

**ამისათვის 500 მლნ ევროს გამოყოფა**

თანხა გამოყენებული იქნება სხვადასხვა ფორმით: დოტაციით, გრანტებით, გრძელვადიანი (10-წლიანი) დაბალპროცენტიანი (წლიური 1%-იანი) სესხებით.

სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია (სახელმწიფოს დოტაციით);

სოფლებისთვის სასმელი წყლის მიწოდების მოგვარება (სახელმწიფოს დოტაციით);

სასოფლო ტექნიკის სადგურების შექმნა (გრძელვადიანი დაბალპროცენტიანი სესხებით);

სასოფლო ტექნიკის ახალი ტექნოლოგიების დამუშავება (გრანტები);

სანერგეებისა და სათესლე მეურნეობების ხელშეწყობა (გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით);

სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემსყიდველი ცენტრების ხელშეწყობა (გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით);

სასათბურე მეურნეობების მაქსიმალური ხელშეწყობა მათში ახალი, პერსპექტიული ტექნოლოგიების გამოყენება (გრანტები, გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით);

მცენარეთა დაცვა ბიოლოგიური და უსაფრთხო ქიმიური საშუალებებით (გრანტები, გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით);

სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადამამუშავებელი ქარხნების ხელშეწყობა (გრძელვადიანი, დაბალპროცენტიანი სესხებით);

სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ხელშეწყობა (სახელმწიფოს მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერა).

### მეცნიერების ხელშეწყობა

**(200 მლნ ევროს გრანტების სახით)**

პირველ ეტაპზე მიზანშეწონილი იქნებოდა მეცნიერების გამოყენებითი მიმართულების განვითარება, სადაც მაქსიმალურად იქნებოდნენ ჩართული ფუნდამენტური მეცნიერების სპეციალისტები.

განახლებადი ენერგიის (მზის და ქარის) ათვისების საშუალებების დამუშავება;

საქართველოში არსებული წიაღისეული ნედლეულის გადამუშავების ახალი ტექნოლოგიების დამუშავება (დარიშხანი, ბოქსიტები, პოლიმეტალები და სხვა);

ახალი პერსპექტიული ტექნოლოგიების დამუშავება ქიმიაში, მექანიკაში ელექტროენერგეტიკაში და მრეწველობის სხვა დარგებში.

### ჯანდაცვის სისტემის ხელშეწყობა

**(500 მლნ ევროს დოტაცია)**

საქართველოში ამჟამად 200-მდე მოქმედი საავადმყოფოა. ეგრეთ წოდებული „სამედიცინო რეფორმის“ შედეგად ფარული გარიგებებით მათი უმრავლესობა გაყიდულია, მაგრამ ფაქტობრივად ჯერჯერობით ფუნქციონირებს, მართალია სავალალო პირობებში...

საჭიროა, გაუქმდეს ყველა ის გარიგება, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო საავადმყოფოების გაყიდვას, ჩატარდეს მათი რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია (200 მლნ ევრო) და აღჭურვა თანამედროვე სამედიცინო აპარატურით (300 მლნ ევრო).

### ცვლილებები საგადასახადო სისტემაში

ყველანაირი გადასახადი წარმოებაში შემცირდეს ჯამში 5 პროცენტამდე;

ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის იმპორტული ნედლეულის (ნავთობი, საწვავი აირი, სხვა წიაღისეული, ელექტროენერგია) ყველანაირი (საბაჟო და სხვა) გადასახადი გაუქმდეს;

დანარჩენი იმპორტული ნედლეულისა ან ნახევარფაბრიკატების საბაჟო გადასახადი შემცირდეს ჯამში პროცენტამდე;

იმპორტულ მზა პროდუქტზე დაწესდეს საბაჟო გადასახადი ჯამში 20 პროცენტამდე;

### ფისკალური პოლიტიკა

კორუმპირებული სახელმწიფო მოხელეების ქონების შეძენის კანონიერების გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში — ჩამორთმევა;

მოეთხოვოს რუსეთს, როგორც სსრკ-ის სამართალმემკვიდრეს გადაუხადოს საქართველოს თავისი წილი — სსრკ-ს ქონების 2% (8 მლრდ ევრო);

მოეთხოვოს რუსეთს იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან მიაყენა საქართველოს 2008 წლის აგვისტოს აგრესიის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩამოერთვას რუსეთს მთელი ქონება, რომელიც შეძენილი აქვს საქართველოში მავნებელი ჩინოვნიკების ხელშეწყობით.

* * *

თუ საქართველოს ახალი (მომავალი) ხელისუფლება განახორციელებს ზემოთ მოყვანილ ღონისძიებებს, შესაძლებელი გახდება უცხოეთიდან შემოსული დახმარება და სხვა ფინანსური რესურსები კი არ გაიავდეს უაზროდ, არამედ დაიხარჯოს გონივრულად, მიზნობრივად, ქვეყნისთვის ყველაზე საჭირო სტრატეგიული დარგების გასაძლიერებლად.

საქართველოს შესანიშნავი ბუნებრივი პირობები, შრომას მოწყურებული ნიჭიერი ხალხი, იაფი ელექტროენერგია, საწვავი, წყალი, დაბალი გადასახადი, სამართლიანი სასამართლო და ახალი მთავრობის ეროვნული სულისკვეთება შექმნიან ისეთ ხელსაყრელ თანაბარ სასტარტო პირობებს, სადაც ადამიანის პირადი ნიჭი, ცოდნა, პროფესიონალიზმი და უნარი იქნება გადამწყვეტი წარმატების მისაღწევად.

ამ გზით სულ მოკლე ხანში (2-3 წელიწადში) საქართველოში მოხდება ისეთი არნახული „ეკონომიკური სასწაული“, რომელზეც ვერ იმოქმედებს ვერანაირი კრიზისი უცხოეთში და ცხოვრების დონე არამარტო აფხაზებისთვის და ოსებისთვის, არამედ ბევრი სხვა განვითარებული ქვეყნისთვისაც კი საოცნებო გახდება.

**თამაზ შიოშვილი.**

◉ საქართველო უცხოეთის პრესის ფურცლებზე

# გაგა შურღაია: ეს არის ომის ერთადერთი ლოგიკა... ერთი მუჭა პრივილეგირებული ადამიანების გადასარჩენად!..



უკვე ეს ტერმინოლოგიური, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო წინდახედულობა წარმოგვიჩენს სოციალისტური რუსეთიდან დღევანდელ რუსეთზე გადასვლის თვისებრივ ნახტომს. საქმე ეხება ორ განსხვავებულ ქვეყანას. ამისი დაუნახაობა შეუწყნარებელი შეცდომაა მათი მხრიდან, ვინც მეორეში პირველის ჭეშმარიტ მემკვიდრეს ხედავს. სტალინის დაბრუნება კოლექტიურ ცნობიერებაში სხვა არაფერია, თუ არა გაცნობიერებულად გაკეთებული ილეთი, რათა საკენკი დაუყაროს ილუზიას, დაჩაგრული ხალხებისა და ფეხქვეშ გათელილი სოციალური ჯგუფების სასოწარკვეთილ სურვილს, დაინახონ პუტინის რუსეთში რუსეთი, რომელიც წინ აღუდგება კაპიტალის იმპერიას.

**— რუსეთში ქართულ კულტურას ისე უყურებენ, როგორც ერთგვარად, იტალიურ კულტურას უყურებდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგდროინდელ ევროპაში. რუსებს უყვართ ქართული სამზარეულო, ქართული ღვინო, მღერიან ქართულ სიმღერებს, ყოველთვის იყვნენ ქართველთა მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, ბოლო ორასი წლის განმავლობაში მაინც. თუმცა, ყოველივეს, რაც აგვისტოში მოხდა, ჩვეულებრივ ომზე უფრო მეტად, ქართველი ხალხის წინააღმდეგ მიმართული ომის ელფერი ჰქონდა: მიწასთან გასწორდა ფაბრიკა-ქარხნები, ქვეყნის მრეწველობის ერთი ნაწილი.**

**როგორ გრძნობს საქართველო ამ ჭრილობას? რაც მოხდა, ორ ხალხს შორის მოუშუშებელ ჭრილობად დარჩება?**



— არ ვიცი, რამდენად სწორია იმის თქმა, თითქოს რუსები ყოველთვის იყვნენ ქართველთა მეგობრები. ის კი ნამდვილად შემიძლია, გითხრათ, რომ XIX ს.-მდე ისინი უდავოდ იყვნენ ჩვენი მოკავშირეები, თუმცა, არც მაინც და მაინც დიდად სანდონი — ქართველებისათვის არაერთხელ უღალატიათ და მიუტოვებიათ ბრძოლის ველზე, მუხანათურად მოუტყუებიათ დიდი განსაცდელის ჟამს თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ. განსაკუთრებით გაუარესდა ურთიერთობა ორ ხალხს შორის ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. ზუსტად ორასი წლის წინათ, 1801 წლიდან 1811 წლამდე, როგორც უკვე ვამბობდი, რუსეთმა სამხედრო ძალით დაიპყრო საქართველო, რითაც უხეშად დაარღვია რუსეთის იმპერატორ ეკატერინე II-სა და ქართველთა მეფეს ერეკლე II-ს შორის რუსეთში, გეორგიევსკის ციხე-სიმაგრეში 1783 წელს დადებული „მეგობრობითი პირობა“. პარალელურად ამუშავდა სახელმწიფო პროპაგანდა, რომელიც ძალისმიერი აგრესიული აქტის გამართლების მიზნით ხელახლა, მიკერძოებულად წერდა, აყალბებდა ისტორიულ წყაროებს და მოძრაობაში მოყავდა პოლიტიზებული ისტორიოგრაფიის მანქანა. დღეს ლუიჯი მაგაროტოს წყალობით, იტალიელ მკითხველს საშუალება აქვს, თავის ენაზე ნათლად და ობიექტურად გაეცნოს ამ მოვლენებს პაზიან დი პრატოში 2004 წელს გამოცემული წიგნით *„რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია (1783-1801წ“*.

თავად მეც შევეცადე, მეჩვენებინა ჟურნალ „Attualita dell’Antico“-ს მეექვსე ნომერში, განსაკუთრებით კი ჩემი კოლეგის, ალდო ფერარის რედაქციით გამოცემულ წიგნში *„ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხები და ეკლესიები“ (რომი, 2008წ* დაბეჭდილ გამოკვლევებში, გააფთრებულმა და სისხლიანმა ოკუპაციამ როგორ დაუდო სათავე აჯანყებათა დაუსრულებელ რიგს მთელ საქართველოში, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მძვინვარებდა. რუსეთმა ყველა ეს აჯანყება უსასტიკესი გულქვაობით სისხლში ჩაახშო. მას არც საქართველოს სამოციქულო ეკლესია დაუნდვია, თუმცა, იგი რუსეთის ეკლესიასავით მართლმადიდებელია. დასავლეთში, ალბათ, ბევრმა არც იცის, რომ საქართველოს ეკლესია ერთ-ერთი უძველესია მსოფლიოში. ქართლში 337 წელს გამოცხადდა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად, ანუ რომის იმპერიის გაქრისტიანებიდან მხოლოდ 12 წლის შემდეგ.

მინდა, განსაკუთრებით გავუსვა ხაზი ამ გარემოებას, რადგანაც დღემდე ხშირად მოაქვთ არგუმენტად სახელმწიფოებს შორის რელიგიური და კულტურული სოლიდარობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ასპექტი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როდესაც სჭირდებათ, ლეგიტიმურობით „მოაპირკეთონ“ ეკონომიკური და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკური ინტერესებით შექმნილი კავშირები. სწორედ რელიგიური სოლიდარობის უგულებელყოფით გააუქმა რუსულმა ეკლესიამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საკუთარი ეგზარხოსით შეცვალა. მეტიც, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს, რუსებს საქართველოში თავიანთი სამოქალაქო და საეკლესიო ხელისუფლება, ზოგიერთი იშვიათი გამონაკლისის გარდა, სპეციალურად ჰქონდათ მინდობილი ისეთი ადამიანებისათვის — მეფისნაცვლებისა თუ ეგზარხოსებისათვის — რომლებსაც განსაკუთრებული ზიზღით სძულდათ ყოველივე ქართული.

შეიძლება ითქვას, რომ კეთილგანწყობა, რომელიც თქვენ ახსენეთ, ჯერ სპორადულად იჩენს თავს XIX ს.-ის მეორე ნახევარში, შემდეგ კი ძლიერდება საბჭოთა პერიოდში, როდესაც მოშუშებული გვეგონა ჭრილობები, რომლებიც რუსეთის — ამ შემთხვევაში, საბჭოთა რუსეთის — მიერ საქართველოს ხელახალმა დაპყრობამ გამოიწვია. ჩემი აზრით, საქმე შეეხებოდა უმთავრესად ისევ და ისევ ზედაპირულ ურთიერთგაცნობას — ვამბობ „ურთიერთგაცნობას“, რადგანაც *ხალხებს შორის სიყვარული მხოლოდ ურთიერთგაცნობის შემდეგ* იწყება, თუმცა, ურთიერთგაცნობას ყოველთვის არ მოსდევს სიყვარული. ანალოგიურად, ევროპელებიც ხშირად ზედაპირულად საუბრობენ იტალიელებზე, როგორც მხიარულ ხალხზე, რომელიც სიამოვნებით მიირთმევს სპაგეტის, სვამს საუცხოო ღვინოს და მანდოლინაზე უკრავს... *ასევე, რუსი ინტელიგენცია სინამდვილეში ვერასოდეს უგებდა სიღრმისეულად ქართველ ინტელიგენციას და ვერც ქართველმა ინტელიგენციამ შეიცნო სიღრმისეულად რუსი და რუსეთი;* ამდენად, ამ ორმა კულტურამ ვერა და ვერ შეძლო, ერთმანეთს ნამდვილად და ჭეშმარიტად შეხვედროდა.

თქვენ სწორად აღნიშნავთ, რომ კონფლიქტმა გამოააშკარავა რუს სამხედროთა განსაკუთრებული გააფთრება მთელი ქართული კულტურის მიმართ. მათ არა მარტო დახოცეს მოწინააღმდეგის ასეულობით ჯარისკაცი და სამოქალაქო პირი, გააუპატიურეს ქალები და გოგონები (მაგრამ ამის გამო მაინც ნუ შევრაცხავთ მათ დემონებად: განა, ასევე არ იქცევიან ჩვენი პლანეტის ყველაზე „კეთილშობილი“ ქვეყნების სამხედროებიც?!წ, არამედ ამ დროს განსაკუთრებული სადიზმი გამოიჩინეს ადამიანების მიმართ. მიწასთან გაასწორეს მთელი სოფლები, დაანგრიეს საცხოვრებელი სახლები, ეკლესიები, ინფრასტრუქტურა, უსახლკაროდ დატოვეს 200 ათასზე მეტი ადამიანი (როდესაც ვამბობ „უსახლკაროდ“, ვგულისხმობ საცვლების ანაბარა გარეთ გამოყრილ ადამიანებსწ, მიზანმიმართულად გადაბუგეს ათეულათასობით ჰექტარი ტყე (მათ შორის, სახელგანთქმული ბორჯომის ტყე-პარკიცწ, დანაღმეს სამხედრო ბაზებისა და რკინიგზების მიმდებარე ადგილები, მდელოები და ბაღ-ვენახები, ქვეყანას თავს დაატეხეს ნამდვილი ჰუმანიტარული და ეკოლოგიური კატასტროფა.

ალბათ, ზოგიერთი შემახსენებს — და სავსებით სამართლიანადაც — რომ აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის ჯარებმაც მხეცური მოქმედებით მწარედ შეირცხვინეს თავი — და თანაც არაერთხელ — ერაყსა და ავღანეთში, მაგრამ ეს ვერ გაამართლებს და სულაც არ ამართლებს რუსი ჯარისკაცების მიერ ჩადენილ ბარბაროსობას. თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ჯარისკაცები იმ ხალხის შვილები არიან, რომელსაც სულ რაღაც რამდენიმე ათწლეულის წინათ დიდ სამამულო ომში პატარა საქართველომ გვერდით ამოუყენა 700 ათასზე მეტი ჯარისკაცი, რომლებმაც ღირსეულად დაიცვეს თავიანთი საერთო ქვეყანა ნაცისტური აგრესიისაგან. 700 ათასი კაცი, რომელთა ნახევარზე მეტი შინ არ დაბრუნებულა...

თუ გავიხსენებთ იმ სიძულვილს, რომელსაც რუსი მოსახლეობა იჩენს იმ ხალხების მიმართ, რომელთაც მოღალატეებად თვლიან, აშკარაა, რომ აგვისტოს ომში ჯარისკაცებსაც იგივე სიძულვილი ამოძრავებდათ, ზუსტად იგივე, რადგანაც ჯალათებად ქცეული ბიჭები სწორედ პილოტირებული ვულგუსის ნაწილი იყო. საქართველოს კი უდავოდ ჰქონდა „მოღალატე“ ერებს შორის პირველობა მოპოვებული: მართლაცდა, იგი საბჭოთა კავშირში პირველი რესპუბლიკა იყო, რომელმაც დამოუკიდებლობა და, მაშასადამე, საბჭოთა კავშირიდან გამოსვლა გამოაცხადა 1991 წლის გაზაფხულზე საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს.

ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი. რამდენიმე წლის წინათ მტრული ქვეყნების სიის დადგენის მიზნით რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევის შედეგებით, საქართველოს წილად ხვდა დიდი „პატივი“, ყოფილიყო ამ ქვეყნის ნომერ მეორე მტერი (პირველობა, ცხადია, აშშ-ს ხვდა წილადწ. და რომ გავიხსენოთ, თუ როგორ ისჯებიან რუსული სახელმწიფოს მტრები, საკმარისია, მოვიხმოთ შემდეგი სიტყვები: *„ამბოხებული სოფლები იავარქმენით და გადაბუგეთ, ძირიან-ფესვიანად აჰკაფეთ ბაღ-ვენახები; მოღალატენი ვეღარასოდეს აღიდგენენ წინანდელ მდგომარეობას“.*

დიახ, ზუსტად ასე იწონებდა თავს ალექსეი პეტრეს ძე ერმოლოვი (1777-1861წ, სწორედ ის რუსი გენერალი, რომელმაც 1820 წელს იმერეთში სისხლში ჩაახშო კიდევ ერთი სახალხო აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ.

**(დასასრული იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 33-34.**

◉ ინფორმაცია

## ათასი დასაქმებული ადამიანიდან შვიდასი ჩვენი მოქალაქე იქნება

**ნაპირსამაგრ სამუშაოებზე 1000–მდე ადამიანი დასაქმდება.**

**როგორც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან იტყობინებიან, სამინისტროში ნაპირდაცვითი ობიექტების მშენებლობის შესახებ გამოცხადებულ ტენდერში განაცხადების მიღება დასრულდა.**

**გარემოს ეროვნულ სააგენტოში განაცხადების გახსნას მინისტრის მოადგილე ვლადიმერ გეგელაშვილი დაესწრო. გამარჯვებულის ვინაობა ერთ კვირაში გახდება ცნობილი.**

**საქართველოს ექვს რეგიონში, კერძოდ, სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში არსებულ 20 ობიექტზე სულ 60-მდე განაცხადი შევიდა. წელს ნაპირსამაგრ სამუშაოებზე 1000-მდე ადამიანი დასაქმდება. სატენდერო პირობების ერთ-ერთი მოთხოვნით, დასაქმებულთა 70% საქართველოს მოქალაქე უნდა იყოს.**

**— დღეს კონკურენტულ გარემოში სატენდერო განაცხადების კონვერტები გაიხსნა. გამოვლინდა კომპანიები, რომლებიც შეასრულებენ ნაპირსამაგრ სამუშაოებს 20 ობიექტზე. ეს პროცესი ამით არ სრულდება, რადგან დაახლოებით ერთ თვეში კიდევ უფრო მეტ ობიექტზე გამოცხადდება ტენდერი და კომპანიებს შეეძლებათ მონაწილეობის მიღება. ნაპირსამაგრი სამუშაოების მასშტაბები უპრეცედენტოა, რადგან წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ ამ კუთხით, ასეთი მასშტაბური სამუშაოები ჩატარებულიყო, — განაცხადა გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილემ ვლადიმერ გეგელაშვილმა.**

**2009 წელს ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან 8,5 მილიონი ლარი დაიხარჯება.**

ინტერპრესნიუსი

**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე**

# ალასანიამ სააკაშვილს რეფერენდუმის გამოცხადებისთვის 10 დღის ვადა მისცა

**პოლიტიკურმა გაერთიანებამ „ალიანსი-საქართველოსთვის“ საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს მისცა 10 დღის ვადა ქვეყანაში ვადამდელი პრეზიდენტის არჩევნების დანიშვნის რეფერენდუმის გამოცხადებისთვის.**

„ვინაიდან მიხეილ სააკაშვილს არ ჰყოფნის პოლიტიკური ნება, მიიღოს ადეკვატური გადაწყვეტილება შექმნილ პირობებში და გადადგეს, ჩვენ მას ვაძლევთ ათდღიან ვადას რეფერენდუმის დანიშვნისთვის და საქართველოს ხალხისთვის უფლების მინიჭებისთვის, რომ მიიღოს გადაწყვეტილება პრეზიდენტის ვადამდელი არჩევნების შესახებ, განაცხადა ალიანსის ლიდერმა, გაეროში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ირაკლი ალასანიამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ ჩვენი პოლიტიკური ძალები იტოვებენ უფლებას, იმოქმედონ ეროვნული უშიშროების ინტერესების შესაბამისად. ჩვენ ვიწყებთ რეალურ მოქმედებას საყოველთაო-სახალხო პლებისციტის მოწყობისთვის“, – დაიმუქრა ალასანია. ამ ალიანსში შემავალი „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ განაცხადა, რომ მათი გეგმა ეს არის „ყველაზე მშვიდობიანი და კონსტიტუციური გზა ხელისუფლების შეცვლისთვის“. პირობებში, როდესაც, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებისგან განსხვავებით, ოპოზიციის შიგნით არ იქნება კონკურენცია და იქნებიან მხოლოდ სააკაშვილის ხელისუფლების მომხრეები – ერთი მხრივ, და დანარჩენი საზოგადოება – მეორე მხრივ. ორი თვის ვადაში რეფერენდუმის მოწყობის დანიშვნამდე ჩვენ ყველას გვექნება შესაძლებლობა, ვიმოქმედოთ და მოვაწყოთ ამ იდეის გარშემო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია“, – აღნიშნა მან.

„ალიანსში – საქართველოსთვის“ გაერთიანებულია ირაკლი ალასანიას პოლიტიკური მოძრაობა, რესპუბლიკელები და „ახალი მემარჯვენეები“.

REGNUM



# საქართველოს ოპოზიციის ნაწილი სკეპტიკურად ეკიდება ირაკლი ალასანიას გაერთიანებას „ალიანსი – საქართველოსთვის“

**საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილი სკეპტიკურად მოეკიდა გაეროში საქართველოს ყოფილი მუდმივი წარმომადგენლის ირაკლი ალასანიას, რესპუბლიკელებისა და „ახალი მემარჯვენეების“ პოლიტიკური ჯგუფის გაერთიანებას, რომელმაც მიიღო სახელწოდება „ალიანსი – საქართველოსთვის“.**

„მე არ ვიცნობ პოლიტიკოსს ირაკლი ალასანიას სახელით. მე ვიცი, რომ ასეთ გვარს ატარებს პრეზიდენტ სააკაშვილის დედა, აგრეთვე მისი ნათესავი – სააკაშვილის ელჩი ერთ-ერთ საერთაშორისო ორგანიზაციაში. სხვა მოქმედი პოლიტიკოსი ამ გვარით მე არ ვიცი“, – განუცხადა ჟურნალისტებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა. შალვა ნათელაშვილის აზრით, ირაკლი ალასანია არის ფიგურა, რომელიც „შეფუთულია“ ვაშინგტონში საქართველოს შემდგომი პრეზიდენტის სახით და ეს დაუშვებელია, ვინაიდან ქართველმა ხალხმა თავად უნდა აირჩიოს თავისი ხელისუფლება. „მე ვსაუბრობ არა იმის შესახებ, თუ რომელიღაც პიროვნება კარგია თუ ცუდი, არამედ იმ მოვლენების შესახებ, რომლებმაც შეიძლება დაღუპონ საქართველო. ის პიროვნება, რომელიც იქნება „ჩასმული“ პრეზიდენტის სავარძელში საზღვარგარეთიდან – არა აქვს მნიშვნელობა, იქნება იგი ვაშინგტონიდან თუ რუსეთიდან, ანდა მათ შორის შეთანხმების შედეგად – არ იქნება ქართველი ხალხის მსახური, მისი ინტერესების დამცველი, არამედ იქნება თავისი უცხოელი პარტნიორების ინტერესების გამტარებელი“, – განაცხადა მან. ლეიბორისტების ლიდერმა ამავე დროს აღნიშნა, რომ, მართალია ალასანია არის ამ შემთხვევაში ამგვარი გეგმის მთავარი ფიგურა, მაგრამ „სარეზერვო ვარიანტების“ სახით განიხილებიან აგრეთვე პარლამენტის ექს-სპიკერი ნინო ბურჯანაძე და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი. კონსერვატორების ლიდერმა კახა კუკავამ ახალი გაერთიანების შექმნის კომენტირების დროს აღნიშნა, რომ „ამჟამად არ არის ალიანსების შექმნის დრო, არამედ საჭიროა შევქმნათ ფართო ოპოზიციური კოალიცია“.

ამ დროს ამას წინათ ჩამოყალიბებული „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი, ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი მიიჩნევს, რომ ახალი ალიანსი – „პროგრესია ქართულ პოლიტიკაში“. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ იმ საკითხებთან დაკავშირებით, „რომლებიც საქართველოს სარგებელს მოუტანენ“, მზად არის ითანამშრომლოს ყველა პოლიტიკურ გაერთიანებასთან, თანაც, როგორც ოპოზიციურ ჯგუფებთან, ისე მმართველ პარტიასთან.

შეგახსენებთ, რომ 23 თებერვალს გამართულ „ალიანსი – საქართველოსთვის“ პრეზენტაციაზე გამოცხადდა, რომ ეს გაერთიანება თავის მთავარ მიზნად მიიჩნევს დღევანდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის გადადგომას კონსტიტუციური მეთოდებით და ახალი პრეზიდენტის ვადამდელ არჩევნებს. კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე ალიანსმა დაასახელა თავისი ლიდერი ირაკლი ალასანია.

REGNUM

# საქართველოს ხელისუფლებას სომხები პრობლემურ სოციუმად მიაჩნია

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის გრიგოლ ვაშაძის განცხადება იმის შესახებ, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში არ არის სხვა პრობლემა, გარდა სოციალურ-ეკონომიკურისა, – სხვა არაფერია, თუ არა, როგორც „სირაძლემას პოლიტიკა“.** ამის შესახებ განაცხადა სომხეთის პარლამენტის დეპუტატმა, სათვისტომო კავშირის „ჯავახკის“ თავმჯდომარემ შირაკ ტოროსიანმა. როგორც ჩვენი კორესპონდენტი იტყობინება, ტოროსიანმა აღნიშნა, რომ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გარდა რეგიონში არსებობს პრობლემები ეროვნულ ენასთან, კულტურასთან დაკავშირებით, აგრეთვე პოლიტიკური ხასიათის პრობლემები.

„სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები – მხოლოდ ერთი ასპექტია დიდი რიგიდან. თუ ჯავახეთში ცხოვრობენ უკეთესად, ვიდრე ქუთაისში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯავახკის ხალხი მუშაობს და ცხოვრობს არა საქართველოს წყალობით, არამედ იმით, რომ გამოსამუშავებლად მიემგზავრება რუსეთში. საქართველოს ხელისუფლების ასეთი ქცევა ართულებს საქმის ვითარებას. ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის გამონათქვამი კი იმასთან დაკავშირებით, რომ „სომხეთს არ გააჩნია გადაუჭრელი პრობლემები საქართველოსთან, ჩემი აზრით, გახდა რიგითი. ძალიან მოხარული ვარ, რომ არის ასეთი მიდგომა ორივე მხრიდან, მაგრამ, თუ არ არის გადაუჭრელი პრობლემები, მაშასადამე, არ არსებობს პოლიტიკური ნება მათი გადაჭრისთვის“, – აღნიშნა დეპუტატმა.

იმ საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობასთან დაკავშირებით, რომელიც საქართველოს სომხეთთან აკავშირებს,



ტოროსიანმა განაცხადა, რომ საქართველოს მხარე მუშაობს ამ მიმართულებით საკმაოდ პასიურად. მუდმივად დაახლოებით 2 ათეულ კილომეტრზე ახალქალაქი-ახალციხის მონაკვეთზე და გარკვეული მიწის სამუშაოები განხორციელდა მხოლოდ ახალციხე-ნინოწმინდის მონაკვეთზე. ამას გარდა ტოროსიანმა ჟურნალისტების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ დართო ნება ჯავახეთში სომხურ-ქართული უნივერსიტეტის გახსნაზე, რომელსაც შეეძლო მოემზადებინა მმართველი კადრები ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისთვის. ტოროსიანმა აღნიშნა, რომ საკითხები უნდა გადაიჭრას პრინციპით – „არის ამოცანა და საჭიროა მისი გადაჭრა“, ხოლო იმ თვალსაზრისით, რომ თუ დროულად არ იქნება გადაჭრილი ძირითადი საკითხი, ურთიერთობათა კრიზისი გართულდება და მიგვიყვანს ცუდ შედეგებამდე.

ოფიციალური ერევნის მიდგომა ჯავახკის პრობლემებისადმი, ტოროსიანის სიტყვებით, უფრო ფრთხილია, ვიდრე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, რაც აიხსნება „დიპლომატიური ეტიკეტით და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ამოცანებით, მაგრამ მთავრობა ყოველთვის წამოჭრის ამ საკითხებს საქართველოს ხელისუფლების წინაშე“. „სომხეთის მთავრობა თავს იკავებს ამ საკითხში მკვეთრი ნაბიჯებისგან, ითვალისწინებს სომხეთ-საქართველოს ურთიერთობის მნიშვნელობას, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს ურთიერთობა გახდება უკეთესი, თუ გადაწყდება ჯავახკის პრობლემა“, – განაცხადა ტოროსიანმა.

ტოროსიანის აზრით, საქართველო ბოროტად იყენებს თავის გეოგრაფიულ მდგომარეობას, მაგრამ, როგორც უნდა წყდებოდეს საკითხი, სამცხე-ჯავახეთის 150-ათასიანი სომხური მოსახლეობის საკითხი ვერსად ვერ წავა. ყოველივე ამაში ტოროსიანი ხედავს იმას, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით.

რეპატრიაციისა და ათვისების საზოგადოებრივი ორგანიზაციის „ერკირის“ თავმჯდომარე სევაკ არცრუნი, თავის მხრივ, აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ პრესკონფერენციის მსვლელობის დროს ერევანში გაიხსენა მხოლოდ ორი დაპატიმრებული სომეხი აქტივისტი, თუმცა ასეთები სინამდვილეში უფრო მეტია. მან განაცხადა, რომ სიტყვაც არ თქმულა აქტივისტების შესახებ, რომლებიც დევნას განიცდიდნენ უკანასკნელი ექვსი-შვიდი თვის განმავლობაში. „დღევანდელი შეხვედრის მიზანია გავამახვილოთ მთელი სომხეთისა და დიასპორის ყურადღება იმაზე, რაც ხდება“, – განაცხადა სევაკ არცრუნიმ და დაუმატა, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ იცის ჯავახკის პრობლემა, მაგრამ ისინი არ მოქმედებენ, ვინაიდან „ჩვენ თავად, როგორც ერი და ხალხი ამ საკითხში ვიჩენთ უყურადღებობას“. არცრუნი არ დაეთანხმა ტოროსიანს: მისი შეხედულებით, სომხებმა დაიწყეს ჯავახკის დატოვება, მაგრამ ამგვარი საკითხები არ წამოიწევა ხოლმე შიშის გრძნობის გამო. არცრუნიმ აგრეთვე განაცხადა, რომ საქართველო ეწევა „ხულიგნურ პოლიტიკას“ ამ საკითხში და, თუ არაფერი გაკეთდება, ხალხი მიმართავს პრობლემის გადაჭრის ექსტრემალურ საშუალებებს.

„თუ უმოქმედობას გავაგრძელებთ, მაშინ მოსახლეობას მოუწევს ან იბრძოლოს ან წავიდეს“, – განაცხადა არცრუნიმ და დაუმატა, რომ თუ ყველას გასაგონად ავიმაღლებთ ხმას ჯავახელების უფლებათა დასაცავად და თუ წამოჭრილი იქნება მოთხოვნები ამ უფლებათა დასაცავად, „მაშინ საქართველო დათმობს“. არცრუნიმ მოუწოდა სომეხ ხალხს, ყველა შესაძლო საშუალებით მოახდინოს გავლენა ქვეყნის ხელისუფლებაზე უფრო დაბეჯითებული პოლიტიკისთვის ჯავახკთან დაკავშირებით.

ანალიტიკურ ცენტრ „მიტკის“ ექსპერტი ედუარდ აბრამიანი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ დაახლოებით ოცმა ორგანიზაციამ თანხმობა განაცხადა, მიიღოს მონაწილეობა კანონიერი იურიდიული თვალსაზრისით სომხეთში საქართველოს საელჩოსთან საპროტესტო აქციაში, რომელიც დაგეგმილია 25 თებერვლისთვის. მისი სიტყვებით, აქციის დროს წამოჭრილი იქნება მთელი რიგი საკითხები, მათ შორის – მოთხოვნა, რათა გაათავისუფლონ დაპატიმრებული აქტივისტები. აბრამიანის სიტყვებით, საქართველოს ხელისუფლება „სომხეთს მიიჩნევს პოტენციურ კონკურენტებად ან პრობლემურ სოციუმად“. ამის გამო, მისი სიტყვებით, საქართველოს პრესა ყოველთვის ახსენებს სომხეთს სტატიებში, რომლებიც შეეხება მხოლოდ აფხაზეთთან ან რუსეთთან დაკავშირებულ პრობლემებს.

REGNUM

## დედამიწის ზურგზე

**უჩვეულო კომეტა „ლულინი“ მაქსიმალურად მოუახლოვდება დედამიწას**

მომწვანო ფერის კომეტა უნიკალურია აგრეთვე თავისი ფორმითაც. იგი გვაგონებს თვითმფრინავს, ესე იგი მას აქვს ორი ფრთა და კუდი. დედამიწიდან კომეტაზე დაკვირვება შეიძლება ტელესკოპით ან უკიდურეს შემთხვევაში ბინოკლით სიბნელის დადგომის შემდეგ. ამ კომეტაზე თვალყურის დევნების სხვა საშუალება ამ მანძილიდან არ იქნება.



* * *

**ევროკავშირმა ოფიციალურად ჩართო ბელორუსია „აღმოსავლეთ პარტნიორობაში“**

ბელორუსია ჩაირიცხა დოკუმენტში, რომელიც მოიწონეს ევროკავშირის სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელებმა ბრიუსელში შეხვედრის დროს. წინა დღით ჩეხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ეს დაუკავშირა მინსკის მიერ უარის თქმას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებაზე. ევროკავშირი აგრეთვე ჩართავს პროგრამაში თურქეთსა და რუსეთს, რათა რუსეთის ფედერაციას არ შეექმნას „იმის შთაბეჭდილება, რომ იმყოფება ალყაში“.



* * *

**ობამა პირველად გამოვა კონგრესის ორივე პალატის წინაშე მიმართვით საშინაო და საგარეო პოლიტიკის შესახებ**

ეს მიმართვა ვაშინგტონის ადმინისტრაციის 44-ე ხელმძღვანელისა სენატისა და წარმომადგენელთა პალატის წინაშე ტრადიციულად მიეძღვნება, უწინარეს ყოვლისა, ქვეყანაში ეკონომიკურ სიტუაციას, რომელიც ამჟამად უკიდურესად მძიმეა. გამოსვლა დაგეგმილია 21 საათისთვის ადგილობრივი დროით.



* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა ემზადება სარაკეტო გაშვებისთვის ორბიტაზე ხელოვნური თანამგზავრის გასაყვანად**

სინამდვილეში ფხენიანი ემზადება, გამოცადოს ამ მომენტისთვის ყველაზე მძლავრი რაკეტა, დარწმუნებული არიან დასავლელი ექსპერტები. ჩრდილოეთი კორეა არ აზუსტებს, თუ როდის მოხდება ეს.



## დიდი ხელოვანი

**23 თებერვალს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში გაიმართა დიდი ქართველი რეჟისორის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის, მრავალი პრემიის ლაურეატის დიმიტრი ალექსიძის ხსოვნის საღამო. გთავაზობთ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ლიკა ჭავჭავაძის მოგონებას.**


დოდო ალექსიძე.

# დოდო ალექსიძის ხიბლი

## მოგონება

დიმიტრი (დოდო) ალექსიძეს, მის მშვენიერ სათნო მეუღლეს და შესანიშნავ შვილებს, შეიძლება ითქვას, ბავშვობიდანვე ვიცნობდი. დედაჩემს თამარ ჭავჭავაძეს ხშირად დავყავდი რუსთაველის თეატრის გასტროლებზე.

თეატრალურ ინსტიტუტში სწავლისას ბატონი დოდო ყოველთვის გულისხმიერად, თბილად მეპყრობოდა. 1956 წელს დავამთავრე თეატრალური ინსტიტუტი და მიმიღეს რუსთაველის თეატრის დასში. 1957 წელს ბატონმა დოდომ დადგა პუშკინის „ბორის გოდუნოვი". გოდუნოვის როლს ბატონი აკაკი ხორავა ასრულებდა, მე მის ქალიშვილს – ქსენია გოდუნოვას.

არასოდეს არ დამავიწყდება პირველი რეპეტიცია:

– სპექტაკლი შენი ტირილით უნდა დაიწყოს, მიხსნიდა ბატონი დოდო. ავღელდი, ყელში რაღაც გამეჩხირა, ვწვალობ, ვერ ვიწყებ ტირილს. უცებ მესმის ბატონ დოდოს ყვირილი, მეჩხუბება, მლანძღავს... არ მოველოდი, შევცბი, ძალიან მეწყინა, ამივარდა ისეთი გულამოსკვნილი ტირილი, ველარ ვჩერდებოდი. ისევ მესმის ბატონ დოდოს ხმა: ყოჩაღ ლიკა, კარგია, ძალიან კარგი, ისარგებლე ამ ცრემლებით, დაიწყე ტექსტი, გააგრძელე მონოლოგი... რეპეტიციის დამთავრების შემდეგ დასიებული თვალებით გამოვედი... კულისებში მხვდება დედაჩემი, გაკვირვებული მიყურებს. ბატონი დოდო იცინის: თამარა, ბავშვს შოკოლადი უყიდე, დაიმსახურა, მეცოდება, დღეს ბევრი ვატირე. სამაგიეროდ მე და ლიკას სცენა გამოგვივიდა. შენ ხომ იცი, რა ძნელია სპექტაკლის დაწყება..


**ლიკა ჭავჭავაძე – დედოფლის როლში, შექსპირის „ჰამლეტი". 1955 წ. დიმიტრი ალექსიძის დადგმა.**

შემდეგ მიმიყვანეს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის" მასობრივ სცენაში, ცოტა მოგვიანებით ბატონმა დოდომ მთხრობელი მხევალი ქალის როლი მათამაშა. ამ სპექტაკლში თეატრის მთელი დასი მონაწილეობდა. თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებიც კი მოიყვანეს. მათ შორის იყო სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტი რობერტ სტურუა. მახსოვს, ბატონმა დოდომ ეს უამრავი ხალხი ჯგუფებად დაგვყო. ყველას თავისი ფუნქცია უნდა ჰქონდესო. თეატრის მსახიობ მარო იტრიაშვილს უთხრა: შენ დედა იქნები, ლიკა და რობერტი შენი შვილები. ჩასჭიდეთ ერთმანეთს ხელები, ეს უამრავი ხალხი, ყვირილით უნდა შევცვენილიყავით. ჩავებღაუჭე რობიკოს, ყურში ჩავჩურჩულე: მეშინია!.. მეც მეშინიაო, იყო პასუხი.

1960 წელს, ბატონმა დოდომ შექსპირის „ჰამლეტი" დადგა. მე მსახიობ დედოფლის როლი მომცა. ტექსტის დაწყებამდე პანტომიმა მქონდა შესასრულებელი. რეპეტიციაზე ბევრს ვხალისობდით, ვიცინოდით, როცა ბატონი დოდო პანტომიმის საკმაოდ რთულ მოძრაობებს მისთვის ჩვეული გროტესკით მაჩვენებდა. მშვენივრად ცეკვავდა. 1962 წელს ბატონმა დოდომ დადგა გიორგი მდივნის პიესა: „ტერეზას დაბადების დღე": მე კუბელ მოცეკვავე გოგონას – ამანდას ვთამაშობდი, ჩემს შეყვარებულს კახი კავსაძე ასრულებდა. სპექტაკლის მხატვარი ბატონი ფარნაოზ ლაპიაშვილი გახლდათ. ლამაზი დეკორაცია გვქონდა. სცენაზე იდგა ძალიან მაღალი დანადგარი – „სცენა სცენაზე". მე, როგორც კაბარეს მოცეკვავეს, ყველა ჩემი ცეკვა იქ, ზემოთ უნდა შემესრულებინა. ბატონი დოდო სპექტაკლის წინ ყოველთვის თავისი ხელით ამოწმებდა დანადგარს, ღელავდა: ლიკა, ფრთხილად იყავი, ცეკვის დროს ზემოდან არ გადმოვარდე, თორემ დედაშენს ვერ გადავურჩებიო, თამარა მომკლავს. 1964 წელს ბატონმა დოდომ, პირველმა საქართველოში, დადგა ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა". მეკი-დანას როლს რამაზ საყვარელიძე ასრულებდა. მე მის ერთ-ერთ შეყვარებულს – ლიუსის ვთამაშობდი. იური ზარეცკი დგამდა ცეკვებს.

ჩემი და რამაზის ცეკვის რეპეტიციისას უცებ გაილო კარები და გაღიმებული ბატონო დოდო, ჩარლსტონის ცეკვა-ცეკვით შემოგვიერთდა, იუმორით აღსავსე პიროვნება ბრძანდებოდა, თეატრის დასის შეკრებებსაც კი დიდ, საინტერესო, ხალისიან სანახაობად აქცევდა.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო თეატრალურ უნივერსიტეტს, გამოჩენილი ქართველი რეჟისორის და საზოგადო მოღვაწის ბატონი დიმიტრი (დოდო) ალექსიძის გახსენებისათვის. ვწუხვარ, რომ ავადმყოფობის გამო საღამოს ვერ დავესწარი.

**მომავალ თაობებს ბატონ დიმიტრი ალექსიძის სახელი არ უნდა დაავიწყდეს.**

**ლიკა ჭავჭავაძე,**
**საქართველოს დამსახურებული არტისტი.**

## ჩვენებურები

***ოფიციალური** თუ არაოფიციალური სტატისტიკით, ახლა რუსეთში მილიონზე მეტი ქართველი ცხოვრობს, ბევრი მათგანი ჩვენს ქვეყანაში – საქართველოში გამეფებულმა ბედუკუღმართობამ, ლუკმა-პურის, აქ დარჩენილი ოჯახის სარჩენლად ფულის შოვნის იმედად გადახვეწა იქ, თუმცა როგორ, რა გზით შოულობენ მას, საკითხავია... ზოგჯერ მიჭირს რუსული გაზეთების ხელში აღება, რათა არ გადავაწყდე ინფორმაციას „შეიპყრეს ქართველი კრიმინალები" ან „მოკლეს ქართველი ბიზნესმენი"... ა. შ. და ა. შ.*

*ჩვენდა საბედნიეროდ, რუსეთში (და არა მარტო იქ) ცხოვრობს ბევრი ისეთი ქართველიც, რომლითაც ჩვენც და იმ ქვეყანამაც უნდა იამაყოს. ამიტომაც ძალზე გამიხარდა, როცა იქაც და ჩვენშიც ერთობ პოპულარულ გაზეთში **„არგუმენტი ი ფაქტი" ლეო ბოკერიას** გვარს კიდევ ერთხელ გადავაწყდი. ამ სახელოვან ადამიანს ხომ მთელი გვერდი აქვს დათმობილი.*



# ლეო ბოკერია:

# „გამოიძინეთ, ჭამეთ და დალიეთ!

**თუმცა ყველაფერში ზომიერებაა საჭირო, მათ შორის სასწაულის რწმენაშიც კი**

ჯერ ერთი, ის გამიხარდა, რომ მოსკოვის ბაკულევის სახელობის გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის სამეცნიერო ცენტრის დირექტორზე, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსზე ლეო ბოკერიაზე ჩვეულებრივად არ ეწერა „რუსი", არამედ წერია „რუსეთელი" ამ ორი ტერმინის განსხვავებულობაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ...

დიახ, 1939 წელს საქართველოში დაბადებულ-დაჭაბუკებული ლეო ბოკერია „თავისუფალ ერთთა მძლე კავშირის, ძმურის" (ყოფილი საბჭოთა კავშირის ჰიმნიდანაა ეს სიტყვებიძ დედაქალაქში – მოსკოვში სეჩენოვის სახელობის პირველ სამედიცინო ინსტიტუტს ამთავრებს და, როგორც ჩანს, სწავლა-განათლებითა თუ ერუდიციით ისე გამოიჩინა თავი, რომ იქვე დატოვეს სამუშაოდ.

თავი რომ არ შეგაწყინოთ მის სამსახურებრივ კარიერაზე ლაპარაკით, გეტყვით მხოლოდ, რომ ის 1994 წლიდან გულ-სისხლძარღვთა ქირურგიის ამ სამეცნიერო ცენტრის დირექტორია, რუსეთის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, აგრეთვე რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრია. 2003 წელს იგი აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო კარდიოლოგად, ახლა კი შეიყვანეს მსოფლიოს 100 საუკეთესო ქირურგთა სიაში(!ძ. ისიც სათქმელია, რომ მისი მეუღლეც და ორი ქალიშვილიც ექიმები არიან.

როგორც სტატია-ინტერვიუს ავტორი ლიდია იუდინა გვაცნობს, ინტერვიუსთვის ლეო ბოკერია მან 8-საათიანი ოპერაციის შემდეგ „გამოიჭირა".. თუმცა მაშინაც თვალი სულ საოპერაციოსკენ ეჭირა და სულ საათზე იყურებოდაო, თურმე კიდევ ერთი სერიოზული ოპერაცია ელოდა.

მოდით, ახლა ამ სტატია-ინტერვიუს რამდენიმე, ჩვენის აზრით, ძალზე საყურადღებო ამონარიდზე შევჩერდეთ.

**– ლეო ანტონის ძევ, თქვენ უკვე მიაღწიეთ პროფესიის ჭერს, ამდენი დრო რატომღა გაატარეთ საოპერაციოში?**

– მთელი ჩემი ცხოვრება მე ვაგროვებდი გამოცდილებას სწორედ იმიტომ, რომ მქონოდა იმის გაკეთების შესაძლებლობა, რასაც ახლა ვაკეთებ. საბედნიეროდ, ამისთვის ძალაც მყოფნის და შესაძლებლობებიც. ჩემი ცხოვრების სხვა დანარჩენ მხარეებს კი განვიხილავ როგორც დანამატს მთავარზე – კარდიოლოგის მუშაობაზე.

**– თქვენ დღეს ოპერაცია გაუკეთეთ ძალზე რთულ პაციენტს. რატომაა, რომ რუსეთში ადამიანები ექიმს უკანასკნელ წუთამდე არ მიმართავენ და საოპერაციოში კრიტიკულ მდგომარეობაში ხვდებიან?**

– ჩემი საზღვარგარეთელი კოლეგები, რუსებისთვის ოპერაციის გაკეთება რომ მოუხდათ, მეუბნებოდნენ, რომ ჩვენი ავადმყოფები ხელმიშვებულობა-მოუვლელობით შეიძლება შევადარო მხოლოდ აფრიკელ პაციენტებსო. ეს ბევრად აიხსნება ჩვენი კლიმატური და ეროვნული თავისებურებებით. მთავარი კი დაბალი ფიზიკური აქტიურობაა. გვძალავს წმინდა რუსული ხასიათიც – სასწაულის დაუოკებელი რწმენა. სერიოზული დაავადებების დროსაც კი ჩვენთან არ უყვართ ექიმთან მისვლა. ამჯობინებენ ექიმბაშებთან და მკითხავთან კონსულტაციებს. ამ დროს კი კარდიოლოგია ისეთივე ზუსტი მეცნიერებაა – როგორც მათემატიკა.

**– ისე რომ, სასწაული კარდიოლოგიაში არ ხდება?**

– რატომაც არა... გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებანი სხვა ყველა სასიკვდილოთაგან ერთადერთი – დღეს მთლიანად განკურნებადია. კარდიო-ქირურგთან მოხვედრილი პაციენტები არითმიის, გულის იშემიური დაავადებებით, ერთი კვირის შემდეგ საავადმყოფოდან სრულიად ჯანმრთელნი მიდიან. განა ეს სასწაული არაა?

შემდეგ აკადემიკოსი ლაპარაკობს იმ პრობლემებზე, რაც კარდიოქირურგების მომზადებას გააჩნია. ექიმ-თერაპევტებს სწამთ, რომ ისინი „მოარჩენენ" გულით ავადმყოფებს, სინამდვილეში კი „აფრიკელთა" მდგომარეობამდე მიჰყავთ. ამერიკასა და ევროპაში თერაპევტებს, დროზე რომ არ ურჩევენ პაციენტებს, მიმართონ კარდიოლოგებს, სადაზღვევო კომპანიები „წვენს" აღებენ. სახელოვანი კარდიოლოგის აზრით, ექიმი-კარდიოლოგები პროფესიულ აყვავებას 37 წლისთვის აღწევენ. სწორედ მხოლოდ ამ ასაკში აძლევენ მათ დამოუკიდებელი ოპერაციების ნებას მის ცენტრში.



**– რა უნდა გავაკეთოთ, კარდიოლოგ-ქირურგის პაციენტი რომ არ გავხდეთ? რომელ „ვეშაპებს" ეყრდნობა გულის ჯანმრთელობა?**

– განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს იმას, რასაც ბავშვობაში დავთესავთ. უკვე დამტკიცებულია, რომ გულის პათოლოგია ბავშვებში, ჯანმრთელ მშობლებს რომ დაებადათ, ყველაზე ხშირად გამოწვეულია დედის ინფექციური დაავადებებით ორსულობის პირველ თვეებში. შემდეგ მშობლებმა 10-12 წლამდე უნდა მოასწრონ ბავშვში მოძრაობისკენ, სპორტისკენ სწრაფვის ჩანერგვა. ის გამოიმუშავებს ამტანიანობასა და კოორდინაციას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია გულის მუშაობისათვის. თუ ადამიანს ამას ბავშვობიდან არ მივაჩვევთ, მაშინ მოზრდილ ცხოვრებაში პრაქტიკულად შეუძლებელია მისი იძულება – მიხედოს თავსა და თავის ჯანმრთელობას.

**– მაგრამ თუ მოზრდილი ადამიანი მაინც გონს მოეგება და მიხედავს თავის ჯანმრთელობას, რით უნდა დაიწყოს მან?**

– აშშ-ში ცნობილი ძმები მეიოების კარდიოლოგიური კლინიკის სპეციალისტები ურჩევენ იმ ადამიანებს, რომლებიც არასოდეს მისდევდნენ სპორტს, დაიწყონ კვირაში ერთსაათიანი აქტიური სიარული. ერთი თვის შემდეგ გასეირნების ხანგრძლივობა შეიძლება კვირაში ორ საათამდე გაიზარდოს. და ასე ნელ-ნელა აღმოცენდება ფიზიკური დატვირთვისადმი მოთხოვნილება. ძალზე მნიშვნელოვანია ცხოვრების რეჟიმი. გულის შეკუმშვების ციკლს ორი თავისებურება გააჩნია. ის ჩქარდება დღის განმავლობაში და მიჩუმათდება საღამოთი, როდესაც კაცი დასაძინებლად წვება. ეს გულს აღდგენის საშუალებას აძლევს. ამიტომაც ძალზე მნიშვნელოვანია დასაძინებლად მუდამ დაწვეთ, ერთსა და იმავე დროს. რათა გამუდმებით არ დაირღვეს თქვენი ბიოლოგიური საათები.

თუ ადამიანი ღამის ცვლაში მუშაობს და იძულებულია, დღისით იძინოს, რეჟიმი მაშინაც მუდამ უნდა დავიცვათ.

მნიშვნელოვანი მომენტი – სპირტიანი სასმელების გამოყენება, საერთოდ არ დალევა – სისულელეა. ალკოჰოლი ეხმარება მოშვებას, დასვენებას, სტრესის მოხსნას. არ შეიძლება სპირტიან სასმელზე ეკონომიის გაკეთება. უხარისხო შხამის დალევა კი უკიდურესად საშიშია.

**დაიცავით კვების სწორი რეჟიმი. ნათქვამი რომაა: „საუზმე შენ შეჭამე, სადილი გაუყავი მეგობარს, ვახშამი მტერს მიეციო" – კარდიოლოგთა თვალთახედვით სრული სისულელეა. დილაადრიან გამოძღომა, როდესაც ორგანიზმს ჯერ არ გაუღვიძია, ანტიფიზიოლოგიურია. საღამოს თუ იშიმშილებ, ნერვულ სისტემას არ ვაძლევთ აღდგენის საშუალებას. უნდა ვჭამოთ ზუსტად იმდენი, რათა შემდეგ ჭამამდე გავძლოთ, ჯანმრთელობის შენარჩუნების აუცილებელი პირობაა მუდმივი წონის შენარჩუნება.**

* * *

ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის ამ სტატია-ინტერვიუს სათაურიც, „იძინეთ, ჭამეთ, დაისვენეთ!", ბატონმა ლეო ბოკერიამ ახალგაზრდობა ხომ საქართველოში გაატარა, სწორედ მისი სიჭაბუკის წლებში იყო „მოდაში" სიმღერა „მასვი, მაჭამე, მალხინე!", მისი ანალოგიით ხომ არ გაკეთდა ასეთი სათაური?

**რაც მთავარია, ბატონ ლეოს წლეულს 70 წელი უსრულდება. გვინდა, ჩვენი გაზეთის მკითხველთა სახელით მივულოცოთ ეს იუბილე!**

მოამზადა
**ვალიკო სიმონიშვილმა**

**კრივი**

# ჩემპიონებიც გამოვლინდნენ



**გლდანში ოთხ დღეს გრძელდებოდა ახალგაზრდა მოკრივეთა საქართველოს პირველობა, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 170 წარმომადგენელი ჩაება.** დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სევერიან ჭელიძე (თბილისი), ავთანდილ ჭუბაბრია (ფოთი), ადილ ასლანოვი (თბილისი), თორნიკე კოტრიკაძე (ქუთაისი), თამაზ ყაულაშვილი (თბილისი), გიორგი ჯაფარიძე (ჭიათურა), ბერდია უტიაშვილი (გურჯაანი), ბესიკ ნოზაძე (თბილისი), იაგო კიზირია (ფოთი), ეგნატე პატარაია (ფოთი), ავთანდილ ჭეჭელაშვილი (გორი).

**ჭიდაობა**

# პოზიციებს არ დავთმობენ

**უკვე გაუწყეთ, რომ კიევის საერთაშორისო ტურნირზე დავით ოთიაშვილმა (120) ვერცხლის მედალი მოიპოვა, ხოლო ბესიკ გოჩაშვილი (55) და მალხაზ ქურდიანი (60) მესამე ადგილებზე გავიდნენ.** უკრაინიდან დაბრუნებულმა ჩვენმა მოჭიდავეებმა გუშინ ფალავანთა კლუბში პრესკონფერენცია გამართეს. ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ აღნიშნა, რომ ლონდონის 2012 წლის თამაშებისთვის მზადება აქედანვე იწყება, ამიტომ საერთაშორისო ტურნირებზე რაც შეიძლება მეტი ათლეტი უნდა გამოვცადოთ, რათა ოთხი წლის შემდეგ ისეთი ნაკრებით წარვსდგეთ ოლიმპიადაზე, რომელიც პეკინში ნაჩვენებ შედეგებს გაგვაუმჯობესებინებს.



**ზაზა თურმანიძე, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი:** საერთო ფიზიკური მომზადება წახკაძორში გავიარეთ. ფაქტობრივად, წლეულს ხალიჩაზე არც გვივარჯიშია, ისე გავემგზავრეთ კიევის ტურნირზე. ამის მიუხედავად, სამი მედალი მაინც მოვიპოვეთ. 24 ქვეყნის უძლიერეს წარმომადგენლებთან მოხვედრილი ეს ჯილდოები ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებლად მიგვაჩნია. 25 თებერვლიდან ბორჯომში საწვრთნელ შეკრებას დავიწყებთ. ყველაფერს გავაკეთებთ საიმისოდ, რომ ვილნიუსში ევროპის ჩემპიონატზე პოზიციები არ დავთმოთ.

**კალათბურთი**

# იწყება II წრე

**ორკვირიანი პაუზის შემდეგ დღეს განახლდება ევროლიგის II ჯგუფური რაუნდი — გაიმართება IV ტურის რამდენიმე შეხვედრა.**

მათგან განსაკუთრებულ ინტერესს ცსკა — სიენას მატჩი იწვევს, რომელსაც რუსეთის დედაქალაქი უმასპინძლებს. შეგახსენებთ, რომ I წრის ფინიშზე აპენინელებმა კონტინენტის მოქმედ საკლუბო ჩემპიონს შინ მწარე მარცხი აგემეს — 74:56, ამდენად, მოსკოველები საკუთარი უნივერსალური სპორტკომპლექსის სარბიელზე სარევანშო განწყობილებით გამოვლენ. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ დღეებში არმიელთა თავმოყვარეობა კიდევ უფრო შელახა ყაზანის უნიქსმა, რომელმაც ეტორე მესინას გუნდს ქვეყნის თასის გათამაშების ნახევარფინალში სძლია — 70:61. საპირისპირო სურათია სტუმართა ბანაკში — ვლადიმერ ბოისას ყოფილი პარტნიორები ბოლონიასთან გადამწყვეტ დუელში გამარჯვების შემდეგ — 70:69 ფავორიტს იტალიის თასის მფლობელის რანგში ეწვივნენ. დღესვე ამავე **„დ“ ჯგუფში** ითამაშებენ ულქერი და ციბონა, რომელთა პირველი ბრძოლაც თურქებმა ხორვატეთში მოიგეს — 65:55.

სიენა, ცსკა — 2-2, ულქერი, ციბონა — 1-1 მოგება.



**დანარჩენ ჯგუფებში დანიშნულ სამივე შეხვედრაში ესპანელები მიიღებენ მონაწილეობას:** მილანი — ტაუგრესი (**„ა“ ჯგუფი**), მაკაბი — რეალი (**„ბ“ ჯგუფი**) და უნიკახა — პარტიზანი (**„გ“ ჯგუფი**). აღსანიშნავია, რომ პირენეული ტრიო განვლილ კვირაში ბარსელონასთან ერთად იქაური თასის გათამაშებაში ასპარეზობდა და ცხარე ბატალიები ბასკების ტრიუმფით დასრულდა — ტაუმ ფინალური მატჩი დამატებით დროში ძლევამოსილად დააგვირგვინა უნიკახასთან — 100:98.

**IV ტურის დანარჩენი შეხვედრები ხვალ ასეთი განრიგით მოეწყობა:** ოლიმპიაკოსი — პროკომი (**„ა“ ჯგუფი**), ალბა — ბარსელონა (**„ბ“ ჯგუფი**) და რომა — პანათინაიკოსი (**„გ“ ჯგუფი**).

**მემორიალი**

# ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნისა

**სახელოვანი ფალავნისა და მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის ტურნირი კარგა ხანია, ტრადიციად დამკვიდრდა. წლევანდელ შეჯიბრებაში 200-ზე მეტი ბერძნულ-რომაული სტილით ჭაბუკი მოჭიდავე მონაწილეობდა ათ წონით კატეგორიაში.** პირველ ადგილებზე გავიდნენ შმაგი ბოლქვაძე (ბათუმი), თორნიკე ჯანგავაძე (ქუთაისი), ბაჩანა ფუტკარაძე (ბათუმი), სულხან ნიკოლიშვილი, თორნიკე თურქიშვილი (ორივე — გარდაბანი), გიორგი დავითაია (სენაკი), ფარნავაზ ბეჟანიძე (ბათუმი), შალვა გონენაშვილი (თბილისი), დავით ჩაკვეტაძე (ქუთაისი) და გიორგი ხაბაშვილი (რუსთავი).



ამ ასაკში 4-5 აპრილს საქართველოს პირველობა გაიმართება, ჩემპიონები კი ივნისში ევროპის პირველობაზე ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ.

**ინტერნეტიდან**

## დღეს იმსაჯებენ




**დღეს გაიმართება ჩემპიონთა ლიგის დარჩენილი ოთხი მატჩი. უეფამ დანიშნა ამ შეხვედრების მთავარი მსაჯები:**

„ჩელსი“ — „იუვენტუსი“: **ოლეგარიუ ბონკარენსა (პორტუგალია);**

„სპორტინგი“ — „ბავარია“: **ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი);**

„ვილიარეალი“ — „პანათინაიკოსი“: **კონრად პლაუცი (ავსტრია);**

„რეალი“ — „ლივერპული“: **რობერტო როზეტი (იტალია).**

## რუმინულ ჩოგბურთს უჭირს

**როგორც ბუქარესტიდან იუწყებიან, სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექმნა რუმინეთის ჩოგბურთის ფედერაციას წლევანდელი დევისის თასზე მერვედფინალში რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის წინ.** როგორც ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა დუმიტრუ ხერედიუმ განაცხადა, მთავრობის დახმარების იმედიც არა აქვთ. ფედერაციამ ქალაქის ხელმძღვანელობასაც და ბიზნესმენ აურელუ მუნტიანუსაც მიმართა, რომელიც ფედერაციას დევისის თასის 2008 წლის გათამაშებაში საფრანგეთის წინააღმდეგ მატჩში დაეხმარა.



რუმინელებმა დიდხანს ვერც შეხვედრის ადგილი გადაწყვიტეს. ჩოგბურთელებს სიბიუში თამაში უნდოდათ, რაზეც დაეთანხმნენ კიდეც, მაგრამ შემდეგ რატომღაც მატჩის ბრაშოვოში გადატანა გადაწყვიტეს. ბოლოს ისევ სიბიუს დაუბრუნდნენ. როგორღაც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციაც დაითანხმეს, რადგან მანეჟი „ტრანსილვანია“ 2 ათას კაცს იტევს, არსებული წესის თანახმად კი, ასეთი დონის მატჩი არ შეიძლება გაიმართოს დარბაზში, სადაც 4 ათასზე ნაკლები მაყურებელი ეტევა.

რუსეთის ფედერაციის განცხადებით, მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებენ პირველი და მეორე ნომერი ჩოგბურთელები ნიკოლაი დავიდენკო და იგორ ანდრეევი. ალბათ გუნდში გამოვლენ მარატ საფინი, დიმიტრი ტურსუნოვი, თეიმურაზ გაბაშვილი და მიხეილ იუჟნი.

## ინვალიდი მორბენალი ავარიაში მოყვა

**როგორც სამხრეთაფრიკული „რადიო 702“ იუწყება, ავარიაში მოყვა ცნობილი სამხრეთაფრიკელი მორბენალი — პარალიმპილი ოსკარ პისტორიუსი. მას სერიოზული ტრავმები მიუღია. მართალია, მის ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრებოდა, მაგრამ, ამბობენ, ახლა მდგომარეობა სტაბილურიაო.**



ამჟამად ის საავადმყოფოში ექიმების მეთვალყურეობით მკურნალობს. ავარიის წვრილმანები ცნობილი არაა. მხოლოდ ის გამჟღავნდა, რომ ინვალიდი სპორტსმენი წყლის ტრანსპორტის ავარიაში მოხვდა.

პისტორიუსმა ბევრი იბრძოლა ოლიმპიადებზე დასასწრებად, მართალია დაუშვეს, მაგრამ პეკინში ვეღარ მოხვდა. ახლა 2012 წელს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას აპირებს.

**გინესელები**

# მსოფლიო რეკორდებს ჭადრაკშიც ამყარებენ

**ბულგარეთის დედაქალაქში დიდოსტატმა კირილ გეორგიევმა გამართა მარათონული მატჩი 360 დაფაზე — მოიგო 284 შეხვედრა, წააგო 6, ხოლო 70 ყაიმით დასრულდა. ეს განსაკუთრებული შეხვედრა გაგრძელდა 14 საათი და 8 წუთი. წინა რეკორდი ეკუთვნოდა დიდოსტატ ენდრიუ მარტინს, რომელმაც 2004 წელს ინგლისში გამართა ერთდროული თამაშის სეანსი 321 მოხალისესთან.**



უფრო უნიკალური მიღწევა ეკუთვნის უნგრელ მოჭადრაკე ქალს ჟუჟა პოლგარს, რომელიც აშშ-ში ეთამაშა 326 მეტოქეს და 16 საათში გამართა 1131 პარტია, რაც შეიტანეს გინესის რეკორდების წიგნში.

ბულგარული საჭადრაკო მარათონის ორგანიზატორები დარწმუნებულნი არიან, რომ ერთი თვის მანძილზე კირილ გეორგიევის მიღწევა ჩაიწერება გინესის რეკორდების წიგნში.

* * *

**ამავე დროს სოფიაში გრძელდება მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მატჩი ბულგარელ ვესელინ ტოპალოვსა და ამერიკელ გატა კამსკის შორის. უკვე გაიმართა 5 პარტია.** პირველი და მესამე ყაიმით დასრულდა, მეორე და მეხუთე ტოპალოვმა მოიგო, ხოლო მეოთხე — კამსკიმ. ასე რომ, ჯერჯერობით საერთო ანგარიშია 3:2 ტოპალოვის სასარგებლოდ.

სათამაშო დარჩა 3 პარტია. თუკი საერთო ანგარიში საყაიმო იქნება, დაინიშნება ტაიბრეიკი სწრაფი პარტიითა და ბლიცით.

**კრიზისი**

# „ნათლობის“ სიხარული

## ანუ, მართლაც, ვაი ჩვენს პატრონს უბედურს!

**კარგა ხნის უნახავი ახლობელი შემხვდა რამდენიმე დღის წინათ, ძველი უნივერსიტეტელი მეგობარი, თანაჯგუფელი. რას საქმიანობ-მეთქი, ვკითხე, ოჯახების და პირადულ ამბებზე რომ მოვრჩით საუბარს. რას და, ფერადი ლითონების ბიზნესში ვარ ჩართულიო, მითხრა. მერე, კმაყოფილი თუ ხარ? — დავინტერესდი. — ე, რის კმაყოფილი, ტანჯვაა ეს ჩვენი საქმე, ადრე კიდევ არა გვიშავდა რა, ახლა კი... ისევ ის დრო სჯობდა, გეოლოგია „ცოცხალი“ რომ იყო საქართველოშიო, — გულისტკივილით მიპასუხა.**

თქმა არ უნდა, ქართულ გეოლოგიას ჯერ კიდევ პირში სული რომ ედგა, ის დრო სჯობდა, უფრო სწორად დრო კი არა, ის სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ჯერ კიდევ არ გაეყოთ „ჩასარეცხებად“ და „ჩამრეცხავებად“, როცა არც სწავლა-განათლებას სპობდნენ ძირშივე, არც უმაღლეს სკოლებს აქცევდნენ უცხოური გაურკვეველი ორგანიზაციების ფილიალებად, არც მეცნიერებას სპობდნენ და არც მრეწველობის მთელ დარგებს სხიპავდნენ სათიბი ბალახივით. ეგ კი ეგრეა, მაგრამ მთავარი სათქმელი სხვა მაქვს.

მაინც, რატომ მიდის თქვენს ბიზნესში საქმე უკან-უკან-მეთქი? — ვკითხე ჩემს მეგობარს. რატომ და, ფასები დაეცა კატასტროფულად, თან აღარც მყიდველია იმდენი, უწინ რომ იყო, მსოფლიო კრიზისი ჩვენც შეგვეხოო, მითხრა.

ღლე თებერვლისთვის უჩვეულოდ თბილი და მზიანი იყო, ამიტომ იქვე, ვერის ერთ-ერთ მყუდრო სკვერში, ძელსკამზე სიგარეტის გასაბოლებლად დავსხედით და მეგობრულ თანაზიარებასა და ჟურნალისტური ცნობისმოყვარეობას აყოლილმა „პირადი ბიზნესის“ წვრილმანები გამოვკითხე უნივერსიტეტელ მეგობარს.

აღმოჩნდა, რომ თუ აგვისტოს ომამდე და მანამდე, ვიდრე მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის ლოკომოტივი „სიჩქარეს აკრეფდა“, ერთი ტონა ფერადი ლითონის ჯართი ჩვენში 400 ლარი ღირდა, ახლა ეს ფასი თითქმის სამჯერ შემცირდა და თბილისში ის 140 ლარი ღირს. კიდევ უფრო იაფია ჯართი რეგიონებში, სადაც მისი მყიდველები ტონაში ას ლარზე მეტს არ იხდიან. ყოველივე ამის მიზეზი კი ის არის, რომ ჯართის დამუშავება ანუ გადადნობა ჩვენში არ ხდება, სატვირთო გემებით იგი, უმეტესწილად, თურქეთსა და ინდოეთში გააქვთ, სადაც (საქართველოსგან განსხვავებით, როგორც ეს ცოტა ხნის წინათ გავიგეთ,) ეკონომიკური კრიზისი თურმე ცუდ რამეებს სჩადის — მეტალურგიულ ქარხნებს „აჩერებს“ და მუშახელს უმუშევარს „ტოვებს“.

თუმცა, როგორც ჩანს, თეზისი — ეკონომიკურ კრიზისს იმ მასშტაბით საქართველოში ჯერ არ შემოუღწევიაო, მთლად მართებული არ არის თუნდაც ამ კონკრეტული მაგალითის რამდენიმე ასპექტის გამო: ჯერ ერთი იმიტომ, რომ რადგან ჯართის გადამმუშავებელი ქარხნები საზღვარგარეთ არ მუშაობენ, ის ქვეყნიდან აღარ გააქვთ. მეორე ის, რომ როცა ჯართს ვერ ყიდიან, ქვეყანაში ვალუტა ნაკლები შემოდის. და ბარემ მესამეც ვთქვათ: როცა მუშაობის მოცულობა, ფაქტობრივად, ორი მესამედითაა შემცირებული, ამ ბიზნესში ადრე მრავალი დასაქმებული უმუშევარი, ხოლო მათი ოჯახები ულუკმაპუროდ რჩება. არსებული მონაცემებით კი ბოლო თვეებში ჯართის ბიზნესში დასაქმებული დაახლოებით ორი ათასი კაცი დარჩა ხელმოცარული.

ღმერთმა ქნას და, ახლო მომავალში ეს ხალხი თუ დასაქმდა, წარმოგიდგენიათ, რამდენი „ნათლობის“ სიხარული გვიდევს წინ?

**ოთარ ტურაბელიძე**

**მხარე**

# დეპუტატის ბიუროში

**ყოველ რაიონში თითოეულ თემს, სოფელსა თუ ქალაქის უბანს კონკრეტული სატკივარი აქვს, როგორიცაა ქუჩების შავი საფარის აღდგენა, შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების მოწესრიგება, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, წყალგაყვანილობის შიდა ქსელის აღდგენა და სხვა.** სწორედ ამ საკითხებზე იყო საუბარი საქართველოს პარლამენტის სენაკის მაჟორიტარი დეპუტატის გურამ მისაბიშვილის ბიუროში, რომელსაც პარლამენტართან ერთად სენაკის მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა კილასონია, გამგებლის პირველი მოადგილე შოთა ოდიშარია, მოადგილე ვეფხვია ვეფხვაძე, თემების რწმუნებულები და სხვები მონაწილეობდნენ.

გურამ მისაბიშვილმა მოსახლეობის ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების თემა საგანგებოდ გამოყო. აღინიშნა, რომ ამჟამად მიმდინარეობს სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოქალაქეების მონაცემთა ბაზის სრულყოფა. „მოსახლეობას მეტი მხარდაჭერა სჭირდება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებისგან საყოფაცხოვრებო პირობების, ჯანმრთელობისა და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად“, — თქვა დეპუტატმა.

გადაწყდა, რომ სხდომაზე დასმული პრობლემების მოგვარების მიმდინარეობა პერიოდულად მოისმინონ პარლამენტარის ბიუროში.

**იოსებ გობეჩია,**
„სრ“ საკ. კორ.

**კრიმინალი**

## კანდელაკს, რომ კაფეს დაუმტვრევენ, სხვას რას უზამენ?

**ცნობილი** მოკრივის გიორგი კანდელაკის მიერ ერთი კვირის წინ გახსნილი სპორტკაფე იქ მომხდარი ჩხუბის გამო სერიოზულად დაზიანდა.

გორის ცენტრში მდებარე კაფეში ჩხუბი მოხდა. ხელჩართული დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე, „გორიგაზის“ დირექტორის გუჯა ბერუაშვილის ვაჟი დურმიშხან ბერუაშვილი სპორტკაფედან საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა წაიყვანეს.

პოლიციის შენობიდან ბერუაშვილი გუშინ, გამთენიისას გაათავისუფლეს, თუმცა მას 5 ათასი ლარის გადახდა მოუწევს, რაც კაფეში ჩხუბისას დაზიანებული ინტერიერისა და დამტვრეული ინვენტარის საფასურია.

ინტერპრესნიუსი

**მოგვმართავენ, გვეკითხებიან**

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: ვარ 68 წლის, ვცხოვრობ ბათუმში, მაქვს გარკვეული შრომის სტაჟი, მაგრამ სოციალური უზრუნველყოფისთვის არ წარმიდგენია, ვიღებ პენსიას თვეში 70 ლარის ოდენობით. მეკუთვნის ხანგრძლივი შრომის სტაჟის გამო პენსიის გაზრდა?**

**ნიკოლოზ ჯინჭარაძე**

**პასუხი:** ვინაიდან, სოციალური სუბსიდიების რაიონული სამსახურისთვის შესაბამისი შრომის სტაჟის დამადასტურებელი საბუთები არ წარმოგიდგენიათ, პენსიაზე დანამატი ვერ დაგერიცხებათ. გირჩევთ, დაუყოვნებლივ წარადგინოთ, რომ მოიპოვოთ პენსიის გაზრდის უფლება დანამატის მხედველობაში მიღებით.



* * *

**კითხვა: თუ შეიძლება, გვაცნობეთ, რამდენი წლით განისაზღვრება მამაკაცისა და ქალისათვის საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი?**

**მირიან მიროტაძე**

**პასუხი:** „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 50-ე მუხლის შესაბამისად, საჯარო სამსახურში ყოფნის ზღვრული ასაკი მამაკაცებისა და ქალებისათვის ერთნაირია და იგი 65 წლით განისაზღვრება.

* * *

**კითხვა: ვარ სახელმწიფო მოსამსახურე. მაქვს თუ არა უფლება, მონაწილეობა მივიღო მასობრივ აქციებში, იქნებ ამიხსნათ, რით რეგულირდება აღნიშნული საკითხი?**

**აბესალომ მენთეშაშვილი**

**პასუხი:** სახელმწიფო მოსამსახურის მასობრივ აქციებში მონაწილეობის საკითხი რეგულირდება „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

**გამოსათხოვარი**

# იური გაბისონია



ახავაი, ჩემო ძმაო! ძმასავით მეგობარო! ახავაი, ჩემო იური!

მრავალი ათეული წელია, ერთად მოვდივართ, ერთად ვითვლით წლებს, თვეებს და დღეებს, ერთად ვტკბებით შეხვედრებით, შენი წარმატებებით, შენი ნიჭიერების უხვი ჭირნახულით.

ახავაი, ჩემო იური! შენ რა გჭირდა სასიკვდილო, დიდებული ოჯახის, დიდებული მეუღლის, დიდებული ქალ-ვაჟისა და შვილიშვილების პატრონს, სამოცი წლის კაცს, ცნობილ იურისტს, მეცნიერებასა და პრაქტიკაში თანაბრად ხელხვავიანს, უამრავი ნაშრომის ავტორს და პედაგოგს, საოცრად ენერგიულ და მშრომელ კაცს! შენ ახლა იწყებდი ტკბობას შენი ნაამაგარით!

ახავაი, ჩემო იური! ახლახან, გასული წლის ოქტომბერში, ასაკის დამრგვალება, 60 წელი იზეიმე ოჯახთან და მეგობრებთან ერთად. ერთმა ძმაკაცმა საზეიმო სუფრაზე ასეთი ლექსიც წაგიკითხა: „ისეთი დარჩი, რაც ეს სამოცი მხნედ და კაცურად განვლე; ისე, როგორიც ხარ შენს საქმოში, რასაც ოჯახში ავლენ... ამ ჯანზე იყავ კიდევ სამოცი, ღვთის წყალობით და მადლით, ყველა გიყვარდეს, ყველა დალოცე ხელში — არსენას ადლით!“

ახავაი, ჩემო იური! „კაცი ბჭობდაო“... ადრე, ძალიან ადრე დაგვტოვე! გვენანები, ძალიან გვენანები! ღმერთმა სასუფეველი დაგიმკვიდროს!

„სანატრელსა შინა დაძინებასა, საუკუნო განსუენებაი მიჰმადლე უფალო, მიცვალებულსა მონასა ამას შენსა და მიეც ამას საუკუნო ხსენება.“

**ამირან გაბისონია**

ვერიკო და ამირან, მაია და მალხაზ, ნინო და თამაზ გაბისონიები მწუხარებით იუწყებიან ახლობლისა და მეგობრის, სანაქებო ადამიანისა და მამულიშვილის
იური ვლადიმერის ძე გაბისონიას
გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ოჯახს

**ინფორმაცია**

## ფეხით მოსიარულეთათვის სარფის საბაჟოზე სავიზო რეჟიმი არ ამოქმედდება

**სარფის** საბაჟოზე ფეხით მოსიარულეთათვის სავიზო შეზღუდვები პირველი მარტიდან, სავარაუდოდ, არ ამოქმედდება, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თბილისში მყოფმა თურქეთის სახელმწიფო მინისტრმა ქურშარდ თუზმენმა განუცხადა.

მისივე თქმით, უნდა მოხდეს დიფერენცირება ფეხით მოსიარულეთათვის და სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეებისთვის.

როგორც ცნობილია, შეზღუდვები სარფის საბაჟოზე მარტიდან უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ, სავარაუდოდ, შეზღუდვები 6 თვით ან ერთი წლით გადავადდება.

## დაავადებულ პატიმრებს აწამებენ

**კახეთის** საინფორმაციო ცენტრს ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მყოფი პატიმრები დაუკავშირდნენ. მსჯავრდებულები დაწესებულების ადმინისტრაციის მხრიდან არაადამიანური მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითებენ.

აქამდე ისე გვექცეოდნენ, როგორც ცხოველებს და არა ადამიანებს, თანაც ავადმყოფებს. საკვებად უცხიმო სუპს გვაძლევდნენ, ახლა რაც შეიძლება მეტ მარილს აზავებენ, რომ ვერ ვჭამოთ და ნარჩენებით საკუთარ ფერმებში ღორები გამოკვებონ. ან თუ შევჭამთ, წყალი მოგვწყურდეს, წყალს კი არ გვაძლევენ. ხმის ამოღების შემთხვევაში გვაგინებენ. გვცემენ მომსახურე პერსონალის და პოლიციის თანამშრომლებიც. ექიმები ყურადღებას საერთოდ არ გვაქცევენ, მალე მოკვდებითო, მარტო ამას ამბობენ. წამალი მოვითხოვეთ, გაგვაშიშვლეს და თირკმელებში სასტიკად გვირტყეს. ესეც არ გვაკმარეს და კარცერში ჩაგვყარეს. ვიხოცებით, — ქსნის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები დახმარებას არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ჟურნალისტებს სთხოვენ.

მსჯავრდებულთა თქმით, გაუსაძლისი მდგომარეობის შესახებ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ და ამჟამინდელ ხელმძღვანელობას არაერთხელ მიმართეს, მაგრამ როგორც ამბობენ, კიდევ უფრო მეტად დაისაჯნენ.

მსჯავრდებულთა პრეტენზიებსა და ბრალდებებს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი სალომე მახარაძე კატეგორიულად უარყოფს.

## მსჯელობენ ხანდაზმულთა პრობლემებზე

**სასტუმრო** „ამბასადორში“ ხანდაზმულთა პრობლემებზე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით კონფერენცია მიმდინარეობს.

კონფერენცია, რომელიც ცენტრალური აზიისა და სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ხანდაზმულობის პრობლემების გადასაჭრელად ქსელის შექმნას ითვალისწინებს, გუშინ გაიხსნა და 5 დღე გაგრძელდება.

კონფერენციის გახსნას პარლამენტარი რუსუდან კერვალიშვილი, ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ჯებაშვილი და თბილისის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი მამუკა ქაცარავა დაესწრნენ.

ღონისძიებაში აზერბაიჯანის, უკრაინის, სომხეთისა და შუა აზიის ქვეყნების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ინტერპრესნიუსი, ХО-ЭЙВ-ЭНИ

# დავუბრუნოთ ბავშვები ოჯახებს!

ძვირფასო მკითხველო! გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისთვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

თუ გვსურს
ქვეყნად
სიყვარული დავნერგოთ,
თუ გვსურს
ზურგი შევაქციოთ
ჩარჩობას,
30-30 დავრეკოთ,
საწყალ ბავშვებს
დავუბრუნოთ
ბავშვობა.



ჯანსუღ ჩარკვიანი

ფონდი „იავნანა“

## ⦿ გუშინ — დღეისთვის

# ვარდისფერი პარადოქსები

**დიდად აქტიური ერთი „ცნობადი სახე“ უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორად დანიშნეს...** ეს გამომცემლობა წელიწადში 200-ზე მეტ სახელმძღვანელოსა თუ მონოგრაფიას გამოსცემდა... „ცნობადი სახის“ დირექტორობის დროს თითქმის წიგნი არ გამოუშვია ამ გამომცემლობას... დირექტორი პროფესორზე ბევრად მეტ ხელფასს იღებდა და... დააწინაურეს: საკანონმდებლო ორგანოში კომიტეტის თავმჯდომარეა (ეს კომიტეტი მისთვის შექმნეს...ძ...

**ასე ფასობს ჩვენში აქტიური უსაქმურობა...**

* * *

**დღეს (25. XII. 2008ძ სამების ტაძარში მიხეილ სააკაშვილმა სიამაყით გაიხსენა 1978 წლის 14 აპრილი, როცა „ქართველ ხალხს მოუნდომეს სახელმწიფო ენის წართმევა და არ გამოუვიდათ“...**

გამახსენდა: „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ — გაუქმდა პრეზიდენტთან არსებული ქართული ენის სახელმწიფო კომისია;

გაუქმდა ენის სახელმწიფო პალატა;

გაუქმდა პარლამენტში ქართული ენის ქვეკომიტეტი;

გაუქმდა ყველა რადიო და ტელეგადაცემა, რომელიც ქართულ ენას ეძღვნებოდა...

შემცირდა ქართული ენის საათები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში...

ქართული აღარაა სავალდებულო საგანი უმაღლეს სასწავლებლებში...

და სხვა... და სხვა...

**ჰოდა, „არ გამოუვიდათ“ მაშინ, მაგრამ... გამოუვიდათ ახლა...**

* * *

**ახლახან I არხზე დაიწყო გადაცემა „ცხოვრება მშვენიერია“...** საინფორმაციო საშუალებებით აჩვენებენ გაუბედურებულ სამაჩაბლოს, გაუბედურებულ სამურზაყანოს, ატირებულ დევნილებს, დამშეულ ქვეყანას...

ვისთვისაა ქვეყანა მშვენიერი?

აი, ვისთვის: წინასაახალწლოდ ითქვა, რომ ყველა პრესტიჟულ რესტორანში საახალწლოდ ადგილები უკვე დაჯავშნულია... ფასი 150-დან 200 დოლარამდეაო კაცზე...

**ჰოდა, ყოფილა ცხოვრება მშვენიერი...**

* * *

**მითქვამს ადრეც — 2006 წლის ზაფხულში ცხრა პროფესორი გაგვასამართლეს, როგორც წვრილმანი ხულიგნები, ლომაია-ხუბუას რეფორმას რატომ უპირისპირდებითო...**

სასამართლო პროცესზევე „აღშფოთდა“ ბრალდებული პროფესორი ვახტანგ ტუსკია: მთელი ცხოვრება ვეცადე კაცურად მევლო და წვრილმანი ხულიგნობით როგორ დავასრულო მოღვაწეობა უნივერსიტეტშიო; ეს „წვრილმანი“ მაინც მოგვაშორეთ, და რაიმე სერიოზული ბრალი დაგვდეთო...

ახლა მივხვდი, „წვრილმანები“ რატომ ვიყავით: **ხუბუასთან რომ დავა-კამათს იკადრებ კაცი, „წვრილმანი“ ხარ, აბა რა ხარ?!**

* * *

**იოსებ ჭუმბურიძე გაზეთ „თბილისში“ აქვეყნებდა „სახიფათო ჩანაწერებს“ (წიგნადაც გამოსცაძ.**

დალაგებულ ქვეყანაში ეს ჩანაწერები სახიფათო უნდა ყოფილიყო ადრესატისათვის... ჩვენთან?

ჩვენთან ყველაფერი პირიქითაა: „სახიფათო ჩანაწერები“ ავტორისთვის აღმოჩნდა სახიფათო: ადრესატებმა იზრუნეს და... ფიზიკურად გაუსწორდნენ ავტორს...

**„დამნაშავეები“, რა თქმა უნდა, „ვერ იპოვეს“...**

**გიორგი გოგოლაშვილი**

## ⦿ სულიერება

# ივერიის ღვთისმშობლის ხატი



**25 თებერვალს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულს აღნიშნავს.**

...გადმოცემის თანახმად, ნიკეის მახლობლად ცხოვრობდა ერთი კეთილმორწმუნე ქვრივი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატს. ბიზანტიის იმპერატორმა ბრძანება გამოსცა გადამალული ხატების განადგურებისა. იმპერატორის გამოგზავნილმა მხედრებმა იპოვეს ეს გადამალული ხატი, ერთ-ერთმა მხედარმა „მახვილი დასცა პირსა ხატისა“ და მოხდა სასწაული — ნაიარევიდან სისხლმა იწყო დენა.

ქვრივი მთელი ღამე ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინაშე, დილით მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა. წყალში ჩაშვებულმა წმინდა ხატმა გეზი დასავლეთისკენ აიღო.

...ათონელმა ბერებმა ქართველ ბერს გაბრიელს მიანდეს ხატის ზღვიდან ამოყვანება. ზღვიდან გამოსვენებული ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დააბრძანეს, მეორე დღეს კანდელის ასანთებად მისულ ბერს ხატი ადგილზე არ დახვდა, ძებნის შემდეგ იგი აღმოაჩინეს მონასტრის კარიბჭის კედელზე, ხატი ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს...

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა გამოცხადებაში უთხრა გაბრიელ ბერს, მე მნებავს, რომ თქვენ კი არ მიცავდეთ მე, არამედ მე გფარავდეთ თქვენო.

**გიული ლიპარტია**

## ⦿ მხარე

# სოფლის დახმარების პროგრამა დაიწყო

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს გამოეყო 179 084 ლარი, რომელიც ტერიტორიულ ორგანოებს, მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით გადაუნაწილდათ, მათი განკარგვის უფლება კი მიენიჭათ ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებს მოსახლეობასთან ერთად. აქედან გამომდინარე, ადგილობრივმა თვითმმართველობამ დაიწყო მოსახლეობასთან შეხვედრები პრიორიტეტის გამოვლენაში ერთობლივი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

ამ დღეებში გამგეობაში აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ჩატარდა სპეციალური თათბირი.

**ნანა ჭიჭინაძე,**
„სრ“ საკ. კორ.

**რეკლამა** კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.

## ⦿ კადრი



## ⦿ ანეკდოტები

ბიოლოგს, რომელიც ქალებში ფულისადმი ალერგიის გამომწვევ შტამს გამოიყვანს, უყოყმანოდ წარადგენ ნობელის პრემიაზე.

* * *



ორი სტუდენტი-მექანიკოსი ერთმანეთს შეხვდა. ერთი ახალ ველოსიპედზე ზის.

— ვა, პეტკა, საიდან დაირტყი ასეთი კარგი ველოსიპედი?

— გუშინ ერთი გოგო მოვიდა საერთო საცხოვრებელში ამ ველოსიპედით. უცებ გაიხადა ტანსაცმელი და მომაძახა:

— თუ რაიმე მოგწონს, შენი იყოს!

მეც ავიღე. ხომ კარგი ველოსიპედია?

— კარგია და მეტი არა? სწორი არჩევანი გაგიკეთებია, რა ჭირად გინდოდა იმ გოგოს ჯინსი ან ბიკინი!

* * *

შარვალი რეიტინგი არ არის, რომ თუ ჩამოგივარდა, ვერ ასწიო.

* * *

დაშა და მაშა საუბრობენ.

— ჩემმა ქმარმა, — ამბობს დაშა, — იმისთვის, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს, კარგად უნდა დალიოს.

— ჩემსას კიდევ იმისთვის, რომ დალიოს, არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ სჭირდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით ალმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
გამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.